

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 12 (311)
დეკემბერი
2022

25 წელი უჩინარ...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 12(311)

დეკემბერი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძაძია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძაძია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან

ბაფის საერთო (27-ე) კრების მოკლე მიმოხილვა და არჩევნების შედეგები 3

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეზერვაციის უძღვება გაცი ალკერაშვილი

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

მოძღული „ფინანსური ანგარიშგება“ 16

კოდექსის შესწორებები, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიონალი ბუღალტრების მოსალოდნელი როლისა და აზროვნების სტილის წინ წამოწევას

მოძღული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე) 30

ოფიციალური მასალები 37

კითხვა-პასუხი 50

ინფორმაცია პირუბიდან 61

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი

წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97

რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი

კორექტურა: თ. ცქიტიშვილი



ბაფის საერთო (27-ე) კრების მოკლე მიმოხილვა და არჩევნების შედეგები

2022 წლის 24 დეკემბერს ონლაინფორმატში, პროგრამა „ზუმის“ გამოყენებით, გაიმართა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 281 დელეგატი და მონაწილე სტუმრები. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ქალბატონმა **რუსუდან ჟორჟოლიანმა**.

კრებას თავმჯდომარეობდა რუსუდან ჟორჟოლიანი, მდივანი – შორენა გამიაშვილი.

დელეგატებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს საერთო კრების დღის წესრიგი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, გამგეობის თავმჯდომარემ – ქალბატონმა რუსუდან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა **ანგარიში ბაფის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ** (იხ. გვერდი 6. ასევე, *გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე www.baf.ge „საქმიანობის ანგარიშები“*).

ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შემონიშნების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა სარევიზიო კომისიის წევრი ხათუნა ბარბაქაძე (*ანგარიში გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე www.baf.ge „საქმიანობის ანგარიშები“*).

ბაფის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ირგვლივ კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები და გამართეს დისკუსია.

საერთო კრებამ კენჭი უყარა (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 199 დელეგატმა) და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის საქმიანობა (დადებითი – 156, დამაკმაყოფილებელი – 42, უარყოფითი – 1).

დამსახურებული წევრების დაჯილდოება

დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, საერთო კრებამ პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ბაფის წევრები:

1. **დარეჯან შენგელია, მარიამ ყარსიმაშვილი, ქეთევან ქემხაძე, ნანა ნადირაშვილი, ნელი ღვინჯილია, ნონა გობეჩია, ანზორ ჯიჯიშვილი, გოჩა ხარჩილავა** – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაარსებიდან აქტიური წევრობის, მისი საქმიანობის პოპულარიზაციისა და პროფესიის პრაქტიკულ განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

2. **მარინა გეთია, ლიანა პისარევა** – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაარსებიდან ნაყოფიერი თანამშრომლობის, ბაფის საქმიანობის პოპულარიზაციისა და კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის.
3. **გიორგი ცერცვაძე** – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დაარსებიდან აქტიური წევრობისა და მისი საქმიანობის ჯანსაღი ოპონირებით პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

წესდებაში ცვლილებების პროექტი

განსახილველი პროექტის შესახებ მოკლე მიმოხილვა გააკეთა კრების თავმჯდომარემ და ხაზი გაუსვა, რომ ცვლილებების პროექტი მომზადებულია „პროფესიული ორგანიზაციების მართვის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს“ დებულებების გათვალისწინებით. გამგეობის სხდომებიდან არაერთი მიეძღვნა ბაფის მმართველობის სრულყოფის საკითხებს, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია ცვლილებების განხორციელება ბაფის მოქმედ წესდებაში. ცვლილებების პროექტი გამოქვეყნებული იყო ფართო განხილვისათვის და წარმოდგენილია შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს: 1. ცვლილებას გამგეობის წევრების არჩევის წესში და 2. ცვლილებებს რედაქციული სრულყოფისა და საკანონმდებლო სიახლეებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროექტის ცვლილებებზე მსჯელობის შემდეგ, თავმჯდომარემ დელეგატებს სთხოვა მოსაზრება დაეფიქსირებინათ, როგორ უყარათ კენჭი შემოთავაზებული ცვლილებებისათვის – ერთიანად, თუ მუხლობრივად. გამოცხადდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა **239 დელეგატი**, პროექტის ერთიანად კენჭისყრას მხარი დაუჭირა: – **195**; მუხლობრივად – **44**.

მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, კენჭი უყარეს წესდებაში შესატან ერთიან ცვლილებებს, რომელშიც მონაწილეობდა **240 დელეგატი**, საიდანაც: ცვლილებებს მხარი დაუჭირა – **208**; არ ვეთანხმები – **12**; თავი შეიკავა – **20**.

კრების თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: თანახმა ხართ თუ არა, გამგეობის შემადგენლობა არჩეულ იქნას მიღებული ცვლილებებით?

საკითხის კენჭისყრაში მონაწილეობდა **248 დელეგატი**. კენჭისყრის შედეგები: ვეთანხმები – **225**; არ ვეთანხმები – **10**; თავი შეიკავა – **13**.

გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევნები. საერთო კრებამ **ბაფის გამგეობის თავმჯდომარედ** აირჩია **რუსუდან ჟორჟოლიანი**. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო **261-მა დელეგატმა** (მომხრე – **248**; წინააღმდეგი – **3**; თავი შეიკავა – **10**).

რადგან ბაფის წესდებით, გამგეობის წევრების რაოდენობა განსაზღვრულია არაუმეტეს 12 წევრით და მათ შორის ერთი გამგეობის თავმჯდომარეა, ასარჩევი იყო გამგეობის 11 წევრი. არჩევნებში მონაწილეობის განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 15 პირს.

კენჭისყრის შედეგები: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე **246-მა დელეგატმა**. ხმათა უმრავლესობით არჩეული ბაფის გამგეობის ახალი შემადგენლობა სეგმენტების მიხედვით:

აკადემიური სექტორიდან: ლევან საბაური (206 ხმა)

ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების სეგმენტიდან:

ნონა რევაზიშვილი (177 ხმა); სალომე ოდიშარია (160 ხმა).

დიდი ოთხეულის სეგმენტიდან:

ქეთევან ყარაულაშვილი (210 ხმა); ნიკოლოზ ჭოჭუა (193 ხმა).

აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორების სეგმენტიდან (კენჭისყრაში მონაწილეობდა 259 დელეგატი):

კონსტანტინე დათიაშვილი (193 ხმა), ნიკოლოზ ბაკაშვილი (177 ხმა),

ნოდარ ებანოიძე (161 ხმა), დავით პაპიაშვილი (160 ხმა),

ლია გოგსაძე (151 ხმა), მზევინარ გურაბანიძე (129 ხმა).

სარევიზიო კომისიის არჩევნები

დღის წესრიგის შესაბამისად, დასახელდა სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატები. კომისიის წევრობის კანდიდატად დასახელებული იქნა 6 პირი, საიდანაც, წესდების შესაბამისად, დელეგატებს უნდა აერჩიათ 3 წევრი. ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო **178-მა დელეგატმა**.


ხმათა უმრავლესობით არჩეული იქნა სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა: **მაგდა გორდუზიანი** (124 ხმა), **თინათინ ღვინიფაძე** (94 ხმა), **ლალი კობიძე** (85 ხმა).

სარევიზიო კომისიის წევრების მიერ, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **თინათინ ღვინიფაძე**.

ანგარიში ბაფის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ

ბაფის სტრატეგიული განვითარების მთავარი ვექტორი

- ბაფის შექმნის იდეა – პროფესიის გულშემატკივარ და სიახლეების მაძიებელ ადამიანებთან გარკვეული ჯგუფის აზროვნებაში დაიბადა 26 წლის წინ. სწორედ ამ ლიდერების ხელმძღვანელობითა და ორგანიზაციის ერთგული წევრების დიდი მეცადინეობით განვითარდა ბაფი და მოვიდა დღემდე. ბევრი ლიდერი დაფუძნების შემდეგაც გამოიკვეთა ბაფის წევრთა წრიდან, ისინი დღემდე ერთგულად იღწვიან მისი განვითარებისთვის. ამ პერიოდში ბაფმა თავისი განვითარების ციკლში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაზა გაიარა.
 - ბოლო 5-6 წლიანი პერიოდი, ბაფის განვითარების ციკლში, გახლავთ – მიღწეული წარმატებების შენარჩუნებისა და სტაბილურობის ფაზა, რომელიც ნებისმიერი ციკლური განვითარების პროცესის ყველაზე საყურადღებო და რთულად გადასალახი ფაზაა.
- განვითარების ეს პროცესი, ზოგადად, დამახასიათებელია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციებისათვის და – არა მარტო. სწორედ ასე განვითარდა IFCA-ის წევრი, ლიდერი ორგანიზაციები.
- წლებია დულს და იხარშება ამ პროცესთან დაკავშირებული მოსაზრებები ბაფში და მისი ლიდერების აზროვნებაში.
 - საბოლოოდ ბაფმა განსაზღვრა ამ ეტაპის სტრატეგიული განვითარების მთავარი ვექტორი:



პირველად საჯარო განცხადებები ამ საკითხზე ბაფის 2021 წლის საანგარიშო კრებაზე გაკეთდა:

- სადაც ბაფმა წარადგინა ორგანიზაციის თვითშეფასება და გარე შეფასებები.
- კრებაზე გაცხადდა, რომ ბაფი „აუმჯობესებს“ ეტაპიდან განვითარების შემდეგ საფეხურზე – „მდგრადობის“ ეტაპზე გადადის.

შეგახსენებთ ამ მიზნის მისაღწევად ბაფის მიერ გაცხადებულ 2022 წლის პრიორიტეტებს:

- ბაფის სტრატეგიული მიმართულებების შეფასება და სრულყოფა, პროფესიული გარემოს ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად;
- საწესდებო ცვლილებების მომზადება და საანგარიშო კრებისათვის წარდგენა, სტრატეგიული გეგმის სრულყოფის შესაბამისად;

- ბაფის გამგეობის რეგლამენტისა და გამგეობის წევრთა არჩევის კონკრეტული წესის შემუშავება;
- საზედამხედველო სამსახურთან თანამშრომლობის გაფართოება და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა;
- ინტენსიური თანამშრომლობა განათლების სექტორთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინტენსიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აქტუალურ პროექტებზე მიზნობრივი გრანტების მოძიების მიზნით.

რა გაკეთდა და სად ვართ დღეს

2022 წლის პირველივე სხდომაზე, 10.01 გამგეობა შეთანხმდა, რომ სამიზნე მიმართულებების განსაზღვრისას, სხვა ინფორმაციებთან ერთად, ძირითადად იხელმძღვანელებდა IFAC-ის მიერ აღიარებული კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოებით:

- **ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა** – „ფოკუსირება საქმიანობის შედეგებზე“ – IFAC;
- **ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურის განვითარება** – „მმართველობა“ – CAPA (აზიისა და წყნარი ოკეანის ბულალტერთა კონფედერაცია).
- **აუდიტის რეგულირების საკანონმდებლო სრულყოფა** – „აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა“ – CAPA გამგეობა შეთანხმდა, რომ ყველა წევრი გამოყოფდა საჭირო დროს, ამ და სხვა მიზნობრივი ინფორმაციების გასაცნობად და გასააზრებლად.

რა თქმა უნდა, როდესაც ბაფის განვითარების სტრატეგიული ცვლილებების იდეა გაჟღერდა, სრულიად ვაცნობიერებდით, რომ წინ რთული გზა იყო, რომლის გავლაც გამგეობის თითოეული წევრისგან სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვდა.

2022 წელს ბაფ-ის გამგეობამ სულ 11 სხდომა გამართა. აქედან 6 სხდომა სტრატეგიულ საკითხებთან იყო დაკავშირებული.

- შედეგად, განისაზღვრა ორგანიზაციის შემდგომი განვითარების მთავარი საკითხები:
 - სტრატეგიული მიმართულებების უპირველეს პრიორიტეტად განისაზღვრა – ორგანიზაციის მმართველობის განვითარების საკითხი;
 - მართვის მოდელის სტრატეგიად განისაზღვრა – სისტემური მართვის მოდელი;
 - მმართველობის სტრუქტურის საფუძვლად განისაზღვრა – დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის პრინციპი;
 - ორგანიზაციის საქმიანობისა და ანგარიშვალდებულებების საფუძვლად განისაზღვრა – ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპი.

თავიდანვე ნათელია, რომ დასახული ამოცანა არცთუ მარტივია და თემაც საკმა-

ოდ მგრძნობიარე, რამდენადაც დასახული ამოცანების შესრულება გამგეობის თითოეულ წევრისგან მოითხოვს, მინიმუმ:

- სერიოზული დროითი რესურსის გამოყოფას, მიზნობრივი ინფორმაციის დასამუშავებლად;
- დიდი სურათის დანახვის შესაძლებლობისა და სტრატეგიულად აღქმის უნარს;
- პროფესიული ინტერესების დაცვით მოქმედებას.
- მთავარი გამოწვევა – თუ ამ მოთხოვნებს ვერ დავაკმაყოფილებთ, არის მოლოდინი, რომ ამოცანის განხორციელებას გარკვეული რისკები შეექმნება.

2022 წელს შემუშავდა გამგეობის დაკომპლექტების ახალი წესი, რომელიც გულისხმობს ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობას გამგეობაში, წინასწარ განსაზღვრული კვოტების ფარგლებში.

„წესდების ცვლილებების პროექტი“ ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა და გამოქვეყნდა ბაფის ვებ გვერდზე საჯარო განხილვისათვის.

განვლილი პროცესების ანალიზმა დაგვანახა, რომ წინასწარი მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა:

- გამგეობის ყველა წევრმა თანაბრად ვერ მოახერხა საკმარისი დროის გამოყოფა ამ რთულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის დასამუშავებლად;
- დიდი სურათის დანახვის შესაძლებლობა, სტრატეგიული აღქმის უნარი და მართვის გამოცდილება, არ აღმოჩნდა საკმარისი.

შედეგი – პროექტის განხილვები დროშიც გაიწელა და არც გადაწყვეტილებები იყო ერთხმად მიღებული.

წესდების ცვლილებების გამოქვეყნებული პროექტის საჯარო განხილვისას გამოვლინდა პროფესიული ინტერესით დაცვის მოქმედების რისკიც, რაც გამოიხატა ბოგიერთი საჯარო განხილვის პროცესის სუბიექტურად წარმართვაში.

შედეგი – პროფესიის წარმომადგენლებს სრულად არ მიეცათ ცვლილებების ობიექტურად აღქმის და მოსაზრების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

წესდების ცვლილებების პროექტს ჩვენ დღეს ცალკე საკითხად განვიხილავთ და კონკრეტულ საკითხზე იქ ვისაუბრებთ, თუმცა:

ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ორგანიზაციის წარმატებულად განვითარებისთვის (მით უმეტეს ასეთ გარდამტეხ ეტაპზე) უმთავრესია, ორმხრივი პასუხისმგებლობა:

ერთის მხრივ – წევრების პასუხისმგებლობა – ხელმძღვანელობაში ავირჩიო შესაბამისი უნარების მქონე ისეთი წარმომადგენლები, რომლებსაც ბოლომდე ვენდობით.

მეორეს მხრივ – ხელმძღვანელობის კანდიდატების პასუხისმგებლობა – გამაჩნდეს შესაბამისი უნარები, თვისებები, კომპეტენცია და პროფესიის განვითარების ისეთი ინტერესი, რომ ვიკისრო ხელმძღვანელობის ტვირთი.

ასევე, გამგეობის გასული პერიოდის საქმიანობიდან გამომდინარე, ბაფის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო მიმართულებებიდან გამოიკვეთა 2023 წლისთვის გამგეობის სამოქმედო გეგმების პრიორიტეტული საკითხები:

ახალარჩეულმა გამგეობამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიმუშაოს და საერთო კრებას წარუდგინოს:

- გამგეობის დებულება;
- გამგეობის წევრის ქცევის კოდექსი;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს საკონსულტაციო საბჭოს დებულება.

ცალსახაა, რომ ახლადარჩეულ გამგეობას განსაკუთრებული როლი ერგუნა ბაფის ცხოვრებაში – მნიშვნელოვანი ცვლილებების ეტაპზე ბაფის ხელმძღვანელობა – და დღეს, ასევე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ზემოთ ხსენებული პასუხისმგებლობები.

გამგეობის საქმიანობა დაინტერესებულ მხარეებთან. განათლების სექტორთან თანამშრომლობა

მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, ევროკავშირსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში, ბაფსა და 7 უნივერსიტეტს შორის გაფორმდა განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი.

თანამშრომლობა ითვალისწინებს:

- მხარდაჭერას როგორც სასწავლო, ასევე საგამოცდო პროცესის დახვეწის მიმართულებით;
- ბაფის სერტიფიცირების პროგრამის პირველი და მეორე ეტაპის მოდულების აღიარებას სფეროში თანამშრომლობას.

მიმდინარე ეტაპზე თანამშრომლობის მემორანდუმი ასევე, გაფორმებულია 6 სხვა უნივერსიტეტთან, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის პირველი ეტაპის მოდულების ჩათვლებთან დაკავშირებით.

პროცესი გრძელდება და ფართოვდება.

IFAC წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) სამოქმედო გეგმა

SMO სამოქმედო გეგმები მუდმივად განახლებადია, რომელიც იძლევა ინფორმაციას IFAC-ის წევრი ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიღებასა და დანერგვისათვის განხორციელებულ ღონისძიებებზე.

საანგარიშგებო პერიოდში მოხდა ბაფის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განახლება წევრობის შესაბამისობის პროგრამის ფარგლებში.

გეგმა ჩაშლილია წევრობის ვალდებულების 7 მიმართულების ჭრილში და გასაჯაროებულია ბაფის ვებ გვერდზე.

ბსფ, გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს პერიოდულად.

საერთაშორისო აქტივობები

ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესი (MCOA) 2022 – IFAC-ის ეგიდით 18-21 ნოემბერს ინდოეთში, მუმბაიში გაიმართა IFAC-ის წევრი 130 ქვეყნის 6000-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა.

კონგრესს ინდოეთის დიპლომირებული ბუღალტერთა ინსტიტუტი ICAI მასპინძლობდა.

ბაფის დელეგაცია კონგრესზე წარმოდგენილი იყო ბაფის გამგეობის თავჯდომარისა და 3 წევრის შემადგენლობით. კონგრესის, თემა იყო – **„წდობის განმტკიცება, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა“**.

ბაფის დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები ICAI-ის საბჭოს წევრებთან და პრეზიდენტთან. მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის წინაპირობა. კომუნიკაცია კონგრესის დასრულების შემდგომაც გაგრძელდა და დღეისთვის მემორანდუმის პროექტზე წარმოებს მუშაობა.

ბაფის წარმომადგენელი მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის ეგიდით გამართულ სემინარებში ქალაქ ვენაში, 2022 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით.

სემინარის მიზანი იყო ქვეყნების წარმომადგენლების ინფორმირება, როგორც ფინანსური და მდგრადობის ანგარიშგების, ასევე საჯარო და კერძო სექტორის აუდიტის მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ; გარდა ამისა, განიხილეს შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაზიარების საკითხები.

ბაფის ფინანსური საქმიანობა და მდგრადობა

ბაფის 2022 წლის ფინანსური საქმიანობა შესაძლებელია მიმოვიხილოთ დამტკიცებული ბიუჯეტისა და 9-თვიანი პერიოდის მონაცემების მიხედვით.

კვლავ გრძელდება სერტიფიცირების გამოცდებზე გამსვლელთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ფინანსურ შედეგებზე. აღნიშნული გარემოებითაა განპირობებული მიმდინარე წლის ბიუჯეტში სერტიფიცირების პროგრამიდან დაგეგმილი შემცირება.

ამ გამოწვევების გასამკლავებლად, განხორციელებული ღონისძიებები:

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მიზნობრივი გრანტების მოძიების მიზნით

პროექტი 1: ბუღალტრული მომსახურების გაფართოებული შესაძლებლობა მცირე ბიზნესისთვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტთან (SRMEDP) გაფორმებულია გრანტის ხელშეკრულება.

პროექტი 2: პროფესიული სასერტიფიკაციო მოდულების განახლება

2022 წელს ბაფმა განაახლა სერტიფიცირების ლიტერატურა, რომელშიც მნიშვნელოვანი იყო „მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში“ პროექტის მხარდაჭერა. მომავალი წლისთვის დარჩენილი ერთი მოდულის „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ განახლებაზე მიმდინარეობს

მუშაობა. პარალელურად, დონორის მოძიება და მისი დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ივნისისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური შედეგი 2 წლის მონაცემებით შემცირებულია, ბაფის ფინანსურ სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობისა და მდგრადი ფუნქციონირების შესახებ დეტალები უფრო ფართოდ მოგეწოდებათ ბაფის სარევიზიო კომისიის ანგარიშში.

კომიტეტების საქმიანობა


განათლების კომიტეტი

თავმჯდომარე – კონსტანტინე დათიაშვილი


კომიტეტის მისია: საქართველოში ბუღალტრებისა და აუდიტორების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, ბუღალტერთა პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების სისტემის გამჭვირვალობით.

2022 წლის ბოლოს ACCA-ის ქართულენოვან პროგრამაში სულ რეგისტრირებულია – **12750 კანდიდატი**. საანგარიშო პერიოდში ჩაერთო **430 კანდიდატი**.


2022 წლის პროფესიული სერტიფიცირების სტატისტიკა



სერტიფიცირებული ბუღალტრების (აუდიტორების) განგრძობითი სწავლების სტატისტიკა



სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი სწავლების სტატისტიკა



ხარისხის კომიტეტი

თავმჯდომარე – ანა კუსრაშვილი

კომიტეტის მისია: ბაფის წევრი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდა, ხარისხის მართვისა და აუდიტის წარმოების ხარისხის ზრდით.

2021 წლიდან კომიტეტი აუდიტორული ფირმების ხარისხის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს ორი მიდგომით:

- დიაგნოსტიკა, აუდიტორული ფირმების მოთხოვნის საფუძველზე:
 - შემოვიდა 1 კომპანიის მოთხოვნა და შესაბამისად განხორციელდა მონიტორინგი;
- დიაგნოსტიკა, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე:
 - შეირჩა 3 კომპანია, საიდანაც 2 კომპანიის მონიტორინგი დასრულდა. 1 კომპანიის – გადავადებულია კომპანიის მოთხოვნით.

2021 წლიდან ხარისხის კომიტეტის ფარგლებში საქმიანობა დაიწყო მცირე აუდიტორული კომპანიების წარმომადგენელთა 10-კაციანმა ჯგუფმა.

მიზანი: მცირე კომპანიების მიერ მოლოდინების და ხედვების შეჯერება მათი განვითარებისათვის და ბაფისაგან მხარდაჭერი ღონისძიებების იდენტიფიცირება.

- ჯგუფმა 2022 წლის მარტიდან მუშაობა შეწყვიტა. ამ დროისათვის ბაფის გამგეობაში მიზნის შესაბამისი წინადადებები არ შემოსულა, თუმცა ჯგუფის წევრების ნაწილი თვლის, რომ ეს თანამშრომლობა, ურთიერთობებისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით, მათ შემდგომ საქმიანობას წაადგება.

კომიტეტისთვის ეს თემა მომდევნო წელსაც პრიორიტეტულ გამოწვევად რჩება.

- აუდიტორული კომპანიებისა და აუდიტორებისათვის ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის ხელშეწყობის მიზნით:
 - ჩატარდა სემინარი განგრძობითი სწავლების დანერგვის ფორმატში, რასაც 10 საათი დაეთმო
 - ითარგმნა და გამოიცა დანერგვის სახელმძღვანელოები:
 - ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტში (ხმსს) – ხარისხის მართვა ფირმებისათვის რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელ და დაკავშირებული მომსახურებების გარიგებებს.
 - ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტ 2-ში – გარიგების ხარისხის მიმოხილვა
 - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 220-ში (გადასინჯული) – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა.
- ხმსს დანერგვის ხელშეწყობის თემა კომიტეტის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმებში ერთერთ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე – მიხეილ აბაიძე

კომიტეტის მისია: ბაფის წევრი ბუღალტრების მიერ, პროფესიული მოვალეობების ღირსეულად შესასრულებლად, ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამტკიცება.

2021 წელს კომიტეტმა, პრაქტიკულად აამოქმედა მოკვლევისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის სისტემა.

2022 წლის ბოლოს კომიტეტზე განსახილველად გადაცემულია 2 საკითხი, რომელთა განხილვასაც კომიტეტი მომდევნო წლის დასაწყისში გეგმავს.

კომიტეტისათვის მომდევნო წლის ძირითადი გამოწვევები:

- კომიტეტის დაკომპლექტება და წევრების გადამზადება;
- ბაფის წევრებში ეთიკური მოთხოვნების კუთხით ცნობიერების ამაღლების სწავლების ორგანიზება;
- მოკვლევის პროცედურების პრაქტიკის დახვეწა.

საგადასახადო კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე – დავით პაპიაშვილი

კომიტეტის მისია: ბაფის წევრების პროფესიული მხარდაჭერა, საგადასახადო დაბეგვრის პრობლემატურ საკითხებზე.

- კომიტეტი ჩართულია ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ჟურნალისთვის კითხვა-პასუხის რუბრიკის მომზადების პროცესში;
- კომიტეტი აქტიურადაა ჩართული ბაფ-ის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევის პროცესში;
- საგადასახადო კომიტეტმა 2022 წელს ჩაატარა ტრენინგები თემებზე:
 - ცვლილებები და სიახლეები საგადასახადო კანონმდებლობაში;
 - სსკ-ის დღგ-ს ცვლილებებისა და სიახლეების მიმოხილვა;
- 2023 წლისათვის საწევრო კომიტეტთან ერთად კომიტეტი გეგმავს, წევრებთან ურთიერთობის პროგრამის შესაძლებლობების ფართოდ გამოყენებას და წევრებთან კომუნიკაციის გაფართოებას.

საწევრო კომიტეტი


კომიტეტის თავმჯდომარე – ნიკო ბაკაშვილი

კომიტეტის მისია: ხელი შეუწყოს საწევრო მოთხოვნების შესრულებას წევრებთან კომუნიკაციის, მათი ინფორმირებისა და მომსახურების გაუმჯობესებით.

- 2022 წელს დასრულდა და ამოქმედდა წევრებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი ახალი საწევრო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს წევრებთან კავშირისა და უკუკავშირის მოქმედებას;
- თითოეულ წევრს, პირადი კოდის მეშვეობით, შესაძლებლობა ეძლევა, ნებისმიერ დროს მიიღოს და გასცეს ბაფში მის წევრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

წევრების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში

წევრობის სტატისტიკა წლების მიხედვით



სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარე – თემურ ფარცხალაძე

კომიტეტის მისია: საქართველოში, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ჩაბმული იყო ტრენინგების და სემინარების ორგანიზება-ჩატარების აქტივობებში:

- სისტემატურად ტარდებოდა კომიტეტის ონლაინშეხვედრები, IFRS-დან თემებზე, ბაფში შემოსულ შეკითხვების შესაბამისად;
- კომიტეტი თანამშრომლობას აგრძელებს ზედამხედველობის სამსახურთან ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ქართული ტერმინოლოგიის განხილვის და დამკვიდრების კუთხით.

ბაფის 2023 წლის სამოქმედო პრიორიტეტები

- IFAC-ის წევრობის ვალდებულებების მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები;
- პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოება;
- წევრებთან ურთიერთობის საკითხების შემდგომი სრულყოფა, ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- ბაფის სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, გამგეობის დებულების, გამგეობის წევრთა ქცევის კოდექსის და საკონსულტაციო საბჭოს დებულების შემუშავება;
- სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სხვა საწესდებო ცვლილებების მომზადება და საერთო კრებისთვის წარდგენა.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მოდული „ფინანსური ანგარიშგება“

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა და ამავე დროს სასწავლო პროგრამის ის ნაწილია, რომელიც კანდიდატებს, ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ყველაზე მეტად გამოადგებათ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდისთვის მზადებაშიც. აღსანიშნავია ისიც, ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდის შედეგები, კანდიდატების მოსწრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, ფლობს თუ არა კანდიდატი ანალიზის უნარს და სათანადოდ შეუძლია თუ არა ამ უნარის გამოყენება ნებისმიერ (ანუ საგამოცდო სცენარში აღწერილ) სიტუაციაში. კარგად მომზადებულ კანდიდატს, რომელიც ნამდვილად ჩასწვდა ბუღალტრული ციფრების ანალიზის მიზანსა და არსს, ხშირად უკიდურესად მაღალი ქულების მიღება შეუძლია იმ კანდიდატებთან შედარებით, რომლებიც არ არიან სათანადოდ მომზადებულები, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ინსტრუმენტების შესახებ მხოლოდ ზერელე წარმოდგენა აქვთ და ამიტომ ძალიან დაბალ ქულებს იღებენ, ან საერთოდ ვერ იღებენ შეფასებას.

ყოველმხრივ განვითარებული თანამედროვე კვალიფიციური ბუღალტერი გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე მხოლოდ ციფრების „მანიპულატორი“. ბუღალტრის პროფესიისთვის, „ერთი ნაბიჯით უკან დახევის“, განხილვისა და ანალიზის უნარი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ზოგადად, ციფრებში და, ამ შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების ციფრებში იმალება კომპანიის საქმიანობის „ისტორია“, რის საფუძველზეც იქმნიან წარმოდგენას კონკრეტული კომპანიის წარმატებული თუ წარუმატებელი საქმიანობისა და მისი სამომავლო პერსპექტივის შესახებ ინვესტორები, პოტენციური ინვესტორები, კრედიტორები, მომწოდებლები, მომხმარებლები, არსებული თუ პოტენციური თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული მხარეები და შემდეგ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ მასთან დაკავშირებით. სწორედ ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც ფინანსური ანგარიშგების მოდულის საგამოცდო მასალაში ჩართულია ანალიზზე დაფუძნებული კითხვები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა აითვისონ ეს უნარები, რათა კარგ შედეგებს მიაღწიონ გამოცდაზე.

ამ სტატიაში განვიხილავთ, რას ეძებს გამომცდელი ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის შესახებ დასმული კითხვების პასუხებში, იმ ძირითადი ნაკლოვანებების გარდა, რომლებიც მუდმივად ვლინდება კანდიდატების საგამოცდო შედეგებში. შემდეგ გავაანალიზებთ სხვადასხვა ტიპის სცენარს, რომელიც კანდიდატებს შეიძლება შეხვდეს ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით კანდიდატებს რამდენიმე ძირითად რეკომენდაციას მივცემთ. საბოლოოდ, ამ რეკომენდაციებს გამოვიყენებთ იმის საილუსტრაციოდ, რით განსხვავდება კარგი და სუსტი პასუხები.

რას ეძებს გამომცემელი

კანდიდატებს მოეთხოვებათ სცენარში მოცემული ინფორმაციის გაერთიანება/დაკავშირება იმ ციფრებთან, რომლებიც მათ მოცემული ექნებათ სცენარში საწარმოს საქმიანობისა და მის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად. ანალიზის უნარი სპეციფიკური უნარია, რომელიც კანდიდატებს ამზადებს საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების მოდულის გამოცდისთვის. კანდიდატების პასუხებში ლაკონურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საწარმოს საქმიანობის მაჩვენებლების ცვლილებების ძირითადი მიზეზები – საკმარისი არ იქნება მარტო იმის თქმა, რომ საწარმოს საქმიანობა გაუმჯობესდა, რადგან გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა ან მოგება.

იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ ტარდება ბიზნესის/კომპანიის საქმიანობის ანალიზი რეალურ ცხოვრებაში. თუ თქვენ იხილავთ რომელიმე მსხვილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას (მაგალითად, Netflix-ის) და შენიშნავთ, რომ ამონაგები წლიდან წლამდე იზრდებოდა, უბრალოდ არ უნდა თქვათ, რომ ეს კარგი შედეგი/მაჩვენებელი იყო. თქვენ უნდა იმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რის გამოც გაიზარდა ამონაგები, ვთქვათ, აბონენტების რაოდენობის გაზრდის ან ახალ ტერიტორიებზე ბიზნესის გაფართოების გამო. მაგალითად, შეგიძლიათ ისაუბროთ წარმატებულ პროგრამებზე, ბოლოდროინდელ ფილმებზე ან მნიშვნელოვან სარეკლამო შეთავაზებებზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამონაგების ზრდას და აუცილებლად უნდა განიხილოთ პასუხში.

გახსოვდეთ, ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე თქვენი პასუხები აუცილებლად, აუცილებლად უნდა *ეყრდნობოდეს და მიესადაგებოდეს სცენარს*. საგამოცდო კითხვაში მოცემული გეგმებით ინფორმაცია, რომელიც თქვენს დასახმარებლად არის განკუთვნილი. ისევე, როგორც მოსალოდნელია, რომ ანალიტიკოსი, რომელიც Netflix-ის გაზრდილი ამონაგების მიზეზებს აანალიზებს, ახსენებს ზემოაღნიშნულ და სხვა ფაქტორებს, კანდიდატებისგანაც გამომცემელი მოელის, რომ ისინი გამოიყენებენ კითხვაში მოცემულ ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის შედეგების ან მისი ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების ასახსნელად. ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც არ გამოიყენებს ამ ინფორმაციას, სავარაუდოდ, დაბალ ქულებს მიიღებს, ან საერთოდ ვერ მიიღებს შეფასებას.

კანდიდატის პასუხი დაბალანსებული უნდა იყოს. ხშირად, კითხვის მოთხოვნა შეიძლება რამდენიმე ელემენტისგან შედგებოდეს, მაგალითად, კანდიდატებს შესაძლოა სთხოვდნენ კომენტარების გაკეთებას საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ან რა სახის დამატებითი ინფორმაციაა საჭირო ამგვარი შეფასებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა სცადონ ყველა მოთხოვნაზე პასუხის გაცემა. თუ საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის გასაანალიზებლად 15 ქულის მოპოვებაა საჭირო, კარგ პასუხში შვიდი ან რვა მოსაზრება მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც მოგებისა და ზარალის, ისე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ. პასუხი, რომელიც ფოკუსირებული იქნება მხოლოდ საწარმოს მომგებიანობაზე, საკმარისად არ პასუხობს მოთხოვნას და მაღალ ქულებს არ დაიმსახურებს.

კანდიდატების პასუხების ძირითადი ნაკლოვანებები

გამომცემლების ანალიტიკურ ანგარიშებში, რომლებიც ცალკეული გამოცდის შედეგებს ეხება, ხშირად ერთი და იგივე ნაკლოვანებებია მითითებული და კანდიდატებმა ამას აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება, რათა რომელიმე ამგვარი გავრცელებული შეცდომა თვითონაც არ დაუშვან:

სიღრმის ნაკლებობა – კანდიდატები ხშირად უთითებენ მხოლოდ სააღრიცხვო ციფრებში მომხდარ ცვლილებებს ისე, რომ არ ცდილობენ ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზების განხილვას. კანდიდატები ზოგჯერ უბრალოდ აღნიშნავენ, რომ მომგებიანობა გაიზარდა, რადგან გაუმჯობესდა მოგების მარჟა. ეს ძალიან მოკლე პასუხია და ეს წინადადება რაიმე საზრიან ანალიზს არ მოიცავს, რომელიც უნდა გვიჩვენებდეს ცვლილების ძირითადი მიზეზ(ებ)ის ახსნას.

გამომცდელების ანალიტიკური ანგარიშები გამოცდის შედეგების შესახებ

სცენარის გამოუყენებლობა – ძალიან ბევრი კანდიდატი ცდილობს დაიბეპიროს, რას შეიძლება ნიშნავდეს თითოეული კოეფიციენტი და ამ ცოდნას ბრმად იყენებს ციფრების მიმართ, სცენარში მოცემული ინფორმაციის გაუთვალისწინებლად. მაგალითად, ერთ-ერთი საგამოცდო კითხვა ეხებოდა კომპანიას, რომელმაც შეიძინა ახალი შვილობილი კომპანია და წლის განმავლობაში შექმნა ჯგუფი. ეს იმას ნიშნავს, რომ კანდიდატებს საგამოცდო მასალაში მოცემული ჰქონდათ მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ერთი სუბიექტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება. ბევრი კანდიდატი კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობდა ახალი კომპანიის შესყიდვის ხსენების გარეშე, ხოლო სხვები ერთმანეთს უდარებდნენ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც არ იყო სრულად შესადარისი (ანუ ჯგუფის და ერთი განცალკევებული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგებები).

გამოთვლები გაანგარიშებების გარეშე – კანდიდატები ხშირად ითვლიან კოეფიციენტებს, მაგრამ საგამოცდო რვეულში არ აჩვენებენ გაანგარიშებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კანდიდატები პოტენციურად შესაძლოა ბევრ ქულას დაკარგავენ იმის გამო, რომ რომელიმე მაჩვენებლის გაანგარიშებისას არითმეტიკულ შეცდომას უშვებენ, შემდეგ მცდარ ციფრს იყენებენ სხვა გამოთვლებში და, შესაბამისად, საბოლოო პასუხში ან თუნდაც შუალედურ გამოთვლებში არასწორ პასუხს იღებენ, გამომცდელი კი ვერ ხედავს, რომ არასწორი პასუხები მხოლოდ ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია და კანდიდატს რამდენჯერმე არ უნდა დააკლდეს ქულები ერთხელ დაშვებული შეცდომის გამო.

სცენარის ტიპები

1. ერთი სუბიექტის მაჩვენებლების შედარება

ამ დროს შეიძლება გამოვიკვლიოთ ერთი და იმავე სუბიექტის ორი ფინანსური წლის ფინანსური ანგარიშგების ამონარიდები. ამ შემთხვევაში მთავარია გავითვალისწინოთ ნებისმიერი მოვლენა ან ცვლილება, რომელიც მოხდა საწარმოს საქმიანობაში ორ წელიწადში და გავანალიზოთ, გაუმჯობესდა თუ გაუარესდა საწარმოს საქმიანობის შედეგები და მისი ფინანსური მდგომარეობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხში ამ მოსაზრების დასადასტურებლად ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი გაუმჯობესების ან გაუარესების მიზეზები (ან პოტენციური მიზეზები).

გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ ერთჯერადი მოვლენებიც, რომლებმაც შეიძლება დაამახინჯოს შედარება. თუ ასეთი მოვლენები არსებობს, კითხვაში ხშირად მითითებული იქნება, რომ ისინი უნდა გამოორიცხოთ სააღრიცხვო მონაცემებიდან და ისე გამოთვალოთ კოეფიციენტები, რათა აჩვენოთ შედარებისთვის საბაზისო პოზიცია. კანდიდატებმა ასევე უნდა განიხილონ ნებისმიერი ახალი პროდუქტის გამოშვების, მომხმარებლების ცვლილებების ან ახალ ბაზრებზე შესვლის გავლენა.

2. ორი სუბიექტის შედარება ერთსა და იმავე პერიოდში

ამ ტიპის კითხვები შეიძლება ეხებოდეს ორ კონკურენტ კომპანიას და კანდიდატებს სთხოვდნენ მათი საქმიანობის შედეგების შედარებას ან გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, რომელი მათგანია უფრო შესაფერისი სამიზნე კომპანია შესაძენად. კანდიდატებმა უნდა განიხილონ, არის თუ არა რაიმე ისეთი განსხვავება მათ სააღრიცხვო პოლიტიკაში, რამაც შეიძლება დაამახინჯოს შედარება. ანალიზის მიზნებისთვის ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ბაზრის რომელი სეგმენტებისთვის მუშაობს კომპანია ან ინფორმაცია მნიშვნელოვანი მომხმარებლების შესახებ.

თუ კითხვა მოიცავს სხვა კომპანიის შესყიდვას, კანდიდატები უნდა დააკვირდნენ კომპანიების ლიკვიდურობას და სინერგიას, რის მიღწევაც, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება ახალი კომპანიის შეძენის შემდეგ.

3. სუბიექტის მაჩვენებლების შედარება სექტორის საშუალო მაჩვენებლებთან

ასეთ სცენარში, კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ სექტორის სხვადასხვა სუბიექტს განსხვავებული მარჟები ექნება, რადგან ისინი ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს ემსახურებიან. ამასთან, კომპანიებს შეიძლება განსხვავებული საანგარიშგებო თარიღები ჰქონდეთ, რამაც შეიძლება დაამახინჯოს შედარება. საბოლოოდ, უნდა განიხილოთ, სცენარში აღწერილ სუბიექტს აქვს თუ არა განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ამავე სექტორის სხვა საწარმოებთან შედარებით.

4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი - შვილობილი კომპანიის შეძენა

თუ კანდიდატს სთხოვენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაანალიზებას, მან უნდა განიხილოს ჯგუფთან დაკავშირებული საკითხები – ისეთი მიდგომა არ უნდა აირჩიოს, თითქმის ერთი სუბიექტის ანალიზს ატარებს. აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული მარჟების მქონე სხვადასხვა სუბიექტი. გარდა ამისა, კანდიდატებს არ უნდა დაავიწყდეთ ისიც, რომ ზოგიერთი ოპერაცია, როგორიცაა შიდაჯგუფური გაყიდვები ან არარეალიზებული მოგება, კონსოლიდაციის დროს ელიმინირდება. ასევე შეიძლება არსებობდეს ისეთი საკითხებიც, როგორიც არის გუდვილის გაუფასურება, რომელიც არ იქნება ასახული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. დაბოლოს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი შეიძლება მოიცავდეს შვილობილი კომპანიის შეძენას ან შვილობილი კომპანიის გასხვისებას.

შვილობილი კომპანიის შეძენის შემთხვევაასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანიის სხვადასხვა წლის შედეგები არ იქნება შესაძარისი. მიმდინარე წელს კონსოლიდირებული იქნება შვილობილი კომპანიის შედეგები, წინა წელს კი არა. შვილობილი კომპანია შეიძლება განსხვავებულ ბაზარზე საქმიანობდეს, განსხვავებული მარჟებითა და გადახდის პირობებით, ამიტომ ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ყველა კოეფიციენტზე.

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, თუ როდის შეიძინეს შვილობილი კომპანია წლის განმავლობაში; შეიძლება შესყიდვა განხორციელდეს წლის შუა პერიოდში. ამ შემთხვევაში, ეს ფაქტი გავლენას იქონიებს როგორც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, ისე კონსოლიდირებულ მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაზე. მოგებისა და ბარალის ანგარიშგების შედეგები მოიცავს შვილობილი კომპანიის მოგებას, რომელიც წარმოიქმნა შეძენის შემდეგ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს შვილობილი კომპანიის ყველა აქტივსა და ვალდებულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ კანდიდატებისთვის რთული სურათი შეიქმნება გასაანალიზებლად

იმ კოეფიციენტების გამო, რომლებშიც გამოიყენება როგორც საწარმოს საქმიანობის შედეგების, ისე მისი ფინანსური მდგომარეობის ელემენტები, მაგალითად, თუ შვილობილი კომპანია შეიძინეს წლის მანძილზე ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში მხოლოდ ექვსი თვის ამონაგები აისახება, მაგრამ მოთხოვნების ანგარიშის მთლიანი ნაშთი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ეს შექმნის ცრუ შთაბეჭდილებას მოთხოვნების დაფარვის პერიოდის შესახებ, თუ ზემოაღნიშნულ ციფრს გამოვიყენებთ ამ კოეფიციენტის გამოსათვლელად.

თუ შვილობილი კომპანია შეძენილ იქნა წლის ბოლოს, ეს გავლენას იქონიებს მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე (მაგრამ არა მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაზე). ასევე შეიძლება არსებობდეს ერთჯერადი დანახარჯების ელემენტებიც, რომლებიც დაკავშირებულია შვილობილი კომპანიის შეძენასთან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს დანახარჯები განმეორდეს, ამიტომ კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და ანალიზის მიზნებისთვის კოეფიციენტები გამოითვალოს ამ ციფრების გამოკლებით.

5. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი - შვილობილი კომპანიის გასხვისება

თუ შვილობილი კომპანია გასხვისდა წლის განმავლობაში, მაშინ კონსოლიდირებული მოგებისა და ბარალის ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ შვილობილი კომპანიის შედეგებს გასხვისების თარიღამდე და არა სრული პერიოდის შედეგებს. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება არ შეიცავს შვილობილი კომპანიის აქტივებს და ვალდებულებებს, რადგან ის გაიყიდა. ამგვარად, ზემოაღნიშნული საკითხების მსგავსად, ნებისმიერი კოეფიციენტი, რომელიც აერთიანებს როგორც მოგებისა და ბარალის ანგარიშგების, ისე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ინფორმაციას, შეიძლება არ გვიჩვენებდეს ზუსტი სურათს ამ შეუსაბამობის გამო. გამომცდელი მოელის, რომ კანდიდატები შეამჩნივენ ამას და ისაუბრებენ ამგვარი შედარების შეზღუდვების შესახებ.

ასევე შესაძლებელია არსებობდეს ერთჯერადი მუხლებიც, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის გასხვისებასთან. ეს შეიძლება იყოს გასხვისებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოგება ან ბარალი, კომპანიის დახურვის ან თანამშრომელთა შემცირების პოტენციური დანახარჯები და ასევე გასხვისებასთან დაკავშირებული პროფესიული (მაგალითად, იურიდიული) მომსახურების საზღაური.

6. ფულადი ნაკადების ინფორმაციის ანალიზი

კითხვებში, რომელშიც კანდიდატებს ფულადი ნაკადების ანგარიშგების გაანალიზებას სთხოვენ, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პირველი მთავარი ციფრია, რომელიც განხილვას საჭიროებს. ეს ციფრი გვიჩვენებს, რა რაოდენობის ფულადი სახსრების მიღება შეუძლია კომპანიას თავისი ძირითადი საქმიანობიდან, ერთჯერადი არაგანმეორებადი ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების გათვალისწინებლად, როგორიცაა აქტივების შესყიდვები/გაყიდვები და ფულის მოზიდვა ვალის ან საკუთარი კაპიტალის მეშვეობით. ოპერაციებიდან/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, ფაქტობრივად, ოპერაციებიდან მიღებული მოგებაა, რომელიც გარდაიქმნა ფულად სახსრებად.

ამის შემდეგ კანდიდატებმა უნდა განიხილონ ფულადი ნაკადების ანგარიშგების დარჩენილი ნაწილიდან სხვა ტიპის ფულადი სახსრების შემოძინება და გადინება. იფიქრეთ, ეს შემოსული/გასული ფულადი სახსრები ერთჯერადი მუხლებია (როგორიც არის, მაგალითად გრძელვადიანი აქტივების შესყიდვები ან გაყიდვები), თუ ფულადი სახსრების რეგულარული შემოძინება/გადინება, მაგალითად, გადახდილი პროცენტი ან გადასახადი.

კანდიდატების კომენტარი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წლის განმავლობაში ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მთლიანი ცვლილებებით. ამ მაჩვენებლის ზრდა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ კარგად იმუშავა ამ წელს. შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც კომპანიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაუჭირდება ფულადი სახსრების გენერირება და იძულებული გახდება, გაყიდოს საკუთარი შენობები და შემდეგ იჯარით აიღოს ისინი საქმიანობის გასაგრძელებლად. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ კომპანიის ფულადი სახსრების საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდება ამ პერიოდში, მაგრამ არ არის ნიშანი იმისა, რომ კომპანია კარგად მუშაობდა. ამან მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა შეუქმნას კომპანიას, რადგან იგი ვეღარ შეძლებს შენობის გაყიდვას, რათა მომავალშიც კვლავ მოიზიდოს ფულადი სახსრები.

მაგალითი

თქვენ ხელთ გაქვთ ამონარიდები კომპანია Janssen-ის 20X7 და 20X8 წლების ფინანსური ანგარიშგებებიდან. კომპანიის ფინანსური წელი მთავრდება 31 დეკემბერს.

	20X8	20X7
	\$000	\$000
ამონაგები	35,100	42,300
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(24,200)	(27,400)
საერთო მოგება	10,900	14,900
სულ მოთხოვნები	2,400	1,500

ასევე ცნობილია შემდეგი შესაფერისი ინფორმაცია:

- Janssen Co არის საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი, რომელიც პროდუქციას ყიდის სუპერმარკეტებისა და მცირე მაღაზიების მეშვეობით. ბოლო წლებში შეინიშნებოდა კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირება საკონდიტრო ნაწარმის ჭაქრის დონით გამოწვეული პრობლემების გამო. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად, 20X8 წლის ივლისში, Janssen Co-მ გარდაქმნა ზოგიერთი შოკოლადის ფილა, შეუცვალა სახელწოდება, უწოდა ორგანული საკვები დანამატი და არსებული საკონდიტრო ხაზების გარდა მათი გაყიდვა დაიწყო ასევე სპორტული დარბაზებისა და სასტუმროების ქსელებშიც;
- მოთხოვნის დაცემასთან შებრძოლების მიზნით Janssen Co-მ სხვა პროდუქტების გასაყიდი ფასი შეამცირა 10%-ით. გარდა ამისა, Janssen Co-მა თავისი პროდუქტების შეფუთვის საქმიანობა გადასცა მესამე მხარეს (აუტსორსინგი), თუმცა მანამდე Janssen Co საკუთარი საქონლის შეფუთვის თვითონ ახორციელებდა სპეციალური დეპარტამენტის მეშვეობით.

მოგეთხოვებათ:

- (ა) გამოითვალეთ შემდეგი კოეფიციენტები Janssen Co-ს 20X8 და 20X7 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:
 - საერთო მოგების მარჟა;
 - მოთხოვნების დაფარვის პერიოდი.
- (ბ) იმსჯელოთ Janssen Co-ს 20X8 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, 20X7 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელთან შედარებით და თქვენი დასკვნები წარმოადგინოთ.

ბევრად უკეთესი იქნება პასუხი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველაფერი ის, რაც ვიცით Janssen Co-ს ბიზნესის შესახებ და რას ველოდებით ამ ციფრებთან დაკავშირებით. ქვემოთ, ფერად გრაფაში მოცემული პასუხი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გააერთიანონ კანდიდატებმა ნარატიული ინფორმაცია გამოთვლილ ციფრებთან/მაჩვენებლებთან, რათა დაადგინონ სააღრიცხვო ციფრების/კოეფიციენტების ცვლილების ძირითადი მიზეზები.

ამონაგები – შემცირდა \$7.2 მლნ-ით, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირდა 17%-ით.

ამონაგების დაცემა, სავარაუდოდ, გამოწვეული იქნება სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებით საკონდიტრო ნაწარმის შაქრის შემცველობით გამოწვეული შემფოთების გამო.

ჩვენ პოტენციურად მოველოდით საკონდიტრო ნაწარმის ამონაგების ძირეულ შემცირებას, რადგან Janssen Co-მ პროდუქტების ფასი 10%-ით შეამცირა. თუმცა, რადგან ამონაგები 10%-ზე უფრო მეტად შემცირდა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ გასაყიდი ფასების შემცირებამ არ გამოიწვია რეალიზებული საქონლის მოცულობის იმგვარი ზრდა, რისი იმედიც შეიძლება Janssen Co-ს ჰქონდა.

ეს შეიძლება იმასაც ნიშნავს, რომ ახალ ბაზარზე გასვლა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან სპორტულ საკვებ დანამატზე მოთხოვნა შეიძლება საერთოდაც არ არსებობს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალი პროდუქტი მხოლოდ 20X8 წლის ივლისში გამოვიდა ბაზარზე, ასე, რომ შესაძლოა ჯერ საკმარისი არ იყო დრო მნიშვნელოვანი გაყიდვების მისაღებად.

ამ მოსაზრებებში კარგად არის გამოყენებული სცენარი. კანდიდატი მკითხველს უყვება „ისტორიას“, რომელიც უშუალოდ კითხვიდან გამომდინარეობს. ეს პასუხი მნიშვნელოვნად უკეთესია იმ პასუხთან შედარებით, სადაც მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ამონაგების კლება ბიზნესისთვის ცუდი ნიშანია და მეტი არაფერი.

საერთო მოგების მარჟა – დაეცა 4.1%-ით.

როგორც წესი, საერთო მოგების მარჟის დაცემა ცუდი ნიშანია, მაგრამ ამგვარი შედეგი მაინც გასაოცარია, რადგან Janssen Co-მ ფასი 10%-ით შეამცირა და ამიტომ საერთო მოგების მარჟის შემცირება 4%-ზე მეტად უფრო იყო მოსალოდნელი.

გვეუბნებიან, რომ Janssen Co-მ განახორციელა თავისი შეფუთვის განყოფილების აუტოსორსინგი. ამ ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულების შემცირება, რაც Janssen Co-ს ფასის შემცირებით გამოწვეული დანაკარგის გარკვეული ნაწილის კომპენსირების საშუალებას მისცემს.

გამოშვებულ ახალ პროდუქტებს შეიძლება უფრო მაღალი საერთო მოგების მარჟა ჰქონდეს, ვიდრე დანარჩენ საკონდიტრო ნაწარმს, რადგან ისინი განკუთვნილია განსხვავებული და უფრო სპეციალიზებული ბაზრისთვის.

კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ ზემოაღნიშნულ კომენტარებს, გაცილებით მეტ ქულას მიიღებენ, ვიდრე ისინი, ვინც ზოგად კომენტარებს აკეთებენ დანახარჯების მართვის შესახებ. ეს კომენტარები ეფუძნება სცენარს და მოიცავს გონივრულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რა შეიძლება ყოფილიყო მოსალოდნელი. ეს არის სწორედ ის, რასაც გამომცდელი ეძებს – ვიდრე უბრალოდ განაცხადოთ, რომ მარჟის შემცირება რაღაც უარყოფითია.

მოთხოვნების დაფარვის პერიოდი – გაიზარდა 12 დღით.

ადრე Janssen Co საქონლის უდიდესი ნაწილის რეალიზაციას საცალო მაღაზიების საშუალებით ახორციელებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაყიდვების უმეტესი ნაწილი ნაღდი ანგარიშსწორებით ხდებოდა და მათთვის საკრედიტო პირობები თითქმის არ იარსებებდა.

სავაჭრო მოთხოვნების ზრდა, სავარაუდოდ, განპირობებულია სპორტულ დარბაზებსა და სასტუმროებთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებებით, რადგან მათ, სავარაუდოდ, Janssen Co-თან შეთანხმებული ექნებათ საქონლის კრედიტით რეალიზაციისთვის საკრედიტო პირობები.

Janssen Co-ს გაყიდვების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ისევ საცალო გაყიდვებით იქნება წარმოდგენილი, რაც Janssen Co-ს ფულად ნაკადებს გარკვეულწილად დაეხმარება/გააუმჯობესებს ახალი საკრედიტო პირობების შემოღების შემთხვევაშიც კი.

ეს ისეთი კომენტარებია, რომლებიც ქულებს დაიმსახურებს. კომენტარებს, რომლებიც ეხება მოთხოვნების დაფარვის „იდეალურ“ პერიოდს ანუ 30 დღეს, სავარაუდოდ, არანაირი ქულა არ მიეკუთვნება. ეს არის უბრალოდ სახელმძღვანელოდან ნასწავლი საკითხი და არა ის, რასაც გამომცდელი ეძებს ამ დონის გამოცდაზე კანდიდატების პასუხებში.

ძირითადი სააღრიცხვო კოეფიციენტების მოკლე მიმოხილვა

ვინაიდან სტატიაში (ზემოთ) ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საილუსტრაციოდ საკმაოდ მარტივი მაგალითი განვიხილეთ, გადავწყვიტეთ, მოკლე ინფორმაცია მოგაწოდოთ იმ ძირითადი სააღრიცხვო კოეფიციენტების მნიშვნელობისა და მათი ცვლილების გამომწვევი პოტენციური მიზეზების შესახებ, რომლებიც გამოგადგებათ ფინანსური ანგარიშგების მოდულის საგამოცდო სცენარებში აღწერილი კონკრეტული შემთხვევების გასაანალიზებლად (და ასევე სააღრიცხვო კოეფიციენტებთან დაკავშირებულ მრავალვარიანტულ კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად).

შენიშვნა: ამ კოეფიციენტების გამოსათვლელი ფორმულები სახელმძღვანელოში გაქვთ მოცემული და აუცილებლად უნდა ისწავლოთ ისინი, თუ გსურთ ფინანსური ანგარიშგების მოდულის გამოცდის ჩაბარება

მოგებიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტები

კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია მისი მოგებიანობა (რენტაბელობა). თუმცა, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ნაჩვენები საერთო მოგებისა და წმინდა მოგების აბსოლუტური ციფრები, ცალკე აღებული, თავისთავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან მცირე სარგებლობის მომტანია – თქვენ უნდა შეძლოთ ამ ციფრების ცვლილების მიზეზების დადგენა (ცხადია, კონკრეტულ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია საგამოცდო სცენარში). როდესაც მოგების ციფრები კომპანიის კომერციული საქმიანობის მეორე შედეგთან, კერძოდ, რეალიზაციასთან მიმართებით პროცენტებში გამოისახება, ასეთი ინფორმაცია უფრო სასარგებლოა. ამ პროცენტული (ხვედრითი) მაჩვენებლების შედარება უკვე შესაძლებელია წინა წლების მონაცემებთან, ან იმავე დარგის სხვა ანალოგიური კომპანიების შესადარის პროცენტულ მონაცემებთან.

საერთო მოგების მარჯის ანუ ხვედრითი საერთო მოგების კოეფიციენტში მომხდარი ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით. მაგალითად, ამ კოეფიციენტის შემცირება შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ბაზარზე მძაფრი

კონკურენცია მიმდინარეობს და, მაშასადამე, დაბალია სარეალიზაციო ფასები და დაბალია საერთო მოგების დონე, ანდა შეიძლება იზრდებოდეს შესყიდვების ფასი. პირიქით, ხვედრითი საერთო მოგების ზრდა შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ კომპანიას ბაზარზე ისეთი მდგომარეობა უკავია, რომ ბაზარს „ექსპლუატაციას“ უწევს და თავის პროდუქციაზე მაღალ ფასებს აწესებს, ან აქვს შედარებით იაფი შესყიდვების წყაროების გამოყენების შესაძლებლობა.

საერთო და წმინდა ხვედრით მოგებას (მარჟას) შორის ურთიერთკავშირი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანად მართავს კომპანია თავისი ბიზნესის დანახარჯებს. თუ წმინდა მოგების მარჟა ეცემა დინამიკაში, ხოლო საერთო მოგების მარჟა იმავე დონეზე რჩება, ეს შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ხარჯებზე არ ხორციელდება შიდა კონტროლი ან არასათანადოდ ხორციელდება.

გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROCE)

ეს კოეფიციენტი კომპანიის მოგებიანობის დონის ამსახველი მეორე მნიშვნელოვანი კოეფიციენტი. ამ კოეფიციენტით იზომება, რამდენად ეფექტიანად და მწარმოებლურად იყენებს კომპანიის ხელმძღვანელობა მის ხელთარსებულ რესურსებს, იმის მიუხედავად, რა გზით იყო დაფინანსებული აღნიშნული რესურსები. ამ კოეფიციენტების გამოსათვლელი სხვადასხვა ფორმულა გამოიყენება, მათ შორის, ყველაზე ხშირად გამოიყენება საოპერაციო მოგების (რომელიც განსაზღვრულია, როგორც მოგება დაბეგვრამდე და პროცენტის გადახდამდე) შეფარდება დაბანდებული კაპიტალის საბოლოო ღირებულებასთან (თუმცა, საშუალო-წლიური მაჩვენებლის გამოყენება უფრო სწორია). ეს კოეფიციენტი სასარგებლოა, როდესაც ერთმანეთს ვუდარებთ ორი ან მეტი კომპანიის შედეგებს, ან როდესაც ვიხილავთ კომპანიის რამდენიმე წლის შედეგებს.

ლიკვიდობის კოეფიციენტები

ლიკვიდობა ეხება ფულადი სახსრების იმ ოდენობას, რომლის გენერირება სწრაფად შეუძლია კომპანიას დავალიანების დასაფარად. ლიკვიდობის რაციონალურ დონეს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის, ვინაიდან ხშირად კომპანიების კრახის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ფულადი სახსრების არადამაკმაყოფილებელი კონტროლი არის ხოლმე. მოკლევადიანი ლიკვიდობის (ანუ საბრუნავი კაპიტალი ლიკვიდობის) კოეფიციენტის მეშვეობით ერთმანეთს უდარდება კომპანიის ლიკვიდური აქტივები (ე.ი. ფულადი სახსრები და ისეთი აქტივები, რომლებიც სწრაფად გარდაიქმნება ფულად) და მოკლევადიანი ვალდებულებები. რაც უფრო მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი, მით უფრო ლიკვიდურია კომპანია. ვინაიდან ლიკვიდობას კომპანიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, საზოგადოდ, უკეთესია, უფრო მაღალი იყოს მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი, ვიდრე დაბალი. თუმცა, ძალიან მაღალი კოეფიციენტი შეიძლება იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ კომპანიის სახსრები უმოქმედოდ „გაყინულია“ ფულად სახსრებში, ან სხვა ლიკვიდურ აქტივებში და ვერ იძლევა სათანადო მაღალ უკუგებას, შესაძლებლობის ფარგლებში.

კომპანიების ლიკვიდობის შემოწმების შედარებით უფრო მკაცრი საშუალებაა სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის გაანალიზება, რომელიც მიმდინარე აქტივებიდან გამოირიცხავს მარაგს. ამგვარი მიდგომა შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან ბევრ კომპანიას არ შეუძლია თავისი მარაგის ადვილად და სწრაფად ფულად გარდაქმნა. როდესაც კომპანია დაფინანსების (ფულადი სახსრების) უკმარისობას განიცდის, ის შეიძლება იძულებული გახდეს ფასდაკლებით გაყიდოს თავისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგი).

გახსოვდეთ: სიფრთხილის გამოჩენა საჭირო ყოველთვის, როდესაც კონკრეტული დასკვნები გამოგაქვთ კომპანიის ლიკვიდობის შესახებ, ვინაიდან ლიკვიდობის ზემოაღნიშნული ორივე კოეფიციენტის გამოსათვლელად (როგორც მოკლევადიანი ლიკვიდობის, ასევე სწრაფი ლიკვიდობის) გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ციფრები. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მხოლოდ „მომენტალურ“ სურათს გვიჩვენებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ამა თუ იმ საანგარიშგებო თარიღისთვის. შესაძლებელია, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემები არ იყოს კომპანიის მთელი წლის ლიკვიდობის მდგომარეობის რეპრეზენტაციული. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს განსაკუთრებული, არაგანმეორებადი ფაქტორებით, ან უბრალოდ იმით, რომ კომპანიის ბიზნესი სეზონური ხასიათისაა, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემები კი ფულადი სახსრების მდგომარეობას გვიჩვენებს ციკლის ერთი კონკრეტული მომენტისთვის.

ფექტიანობის კოეფიციენტები (ანუ აქტივების გამოყენების ფექტიანობის კოეფიციენტები)

მრავალი კომპანია თავის მომხმარებლებს საქონლის კრედიტით გაყიდვას სთავაზობს, რეალიზაციის მოცულობის გაზრდის მიზნით. ამასთან, მომხმარებლებისთვის სავაჭრო კრედიტის მიცემა კომპანიისთვის ხელსაყრელი ღირებულების მოპოვების შესაძლებლობას ქმნის, რადგან ფულადი სახსრები თავს იყრის ფინანსურ მოთხოვნებში/დებიტორულ დავალიანებაში. თუმცა, მეორე მხრივ, საქონლის კრედიტით რეალიზაციის შედეგად წარმოიშობა რისკი იმისა, რომ დებიტორები ფულს არ გადაიხდიან. ამგვარად, კომპანიები, როგორც წესი, ცდილობენ დებიტორული დავალიანების ამოღებას რაც შეიძლება სწრაფად. დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი (გამოსახული დღეებში ან თვეებში) გვიჩვენებს, რამდენად წარმატებით ხორციელდება კომპანიის დებიტორული დავალიანების თანხების ამოღება.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდება კრედიტორული დავალიანების ღირებულება და იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომლებსაც კომპანია კრედიტით ყიდულობს. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებაა, რომ კრედიტორული დავალიანება კომპანიისთვის უპროცენტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს და კომპანიისთვის უმჯობესია, რაც მეტი ხნით გადავადდება კრედიტორული დავალიანების გადახდა, შესაძლებლობის ფარგლებში. თუმცა, ამ მოსაზრებაში იგნორირებულია იმ ფასდათმობების ღირებულება, რომელიც მომწოდებელმა შეიძლება შესთავაზოს კომპანიას. გარდა ამისა, კრედიტორული დავალიანების გადახდის ზედმეტმა გაჭიანურებამაც შეიძლება გამოიწვიოს იმ საერთო ხასიათის სავაჭრო პირობების გაუარესება, რომლებიც შეიძლება მომწოდებელმა შესთავაზონ კომპანიას.

კომპანიამ მიზანმიმართულად და გონივრულად უნდა დაგეგმოს და მართოს თავისი მარაგის დონეები. იდეალურ შემთხვევაში, ამით თავიდან აიცილებს ძალიან დიდი კაპიტალის თავმოყრას მარაგში, თუმცა, მეორე მხრივ, მარაგის დონეები ყოველთვის საკმარისი უნდა იყოს მომხმარებლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მარაგის ბრუნვის პერიოდი გვიჩვენებს იმ დღეების საშუალო რაოდენობას, რომლის განმავლობაშიც მარაგი კომპანიაში იმყოფება. მარაგის ბრუნვის პერიოდის შეცვლა შეიძლება საუკეთესო ინდიკატორი იყოს იმისა, რამდენად კარგად მუშაობს კომპანია. მარაგის ბრუნვის პერიოდის გახანგრძლივება კი შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ვაჭრობა უარესდება, ან მარაგის დონეები ზედმეტად არის გაზრდილი.

ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტები

ერთ აქციაზე შემოსავლის კოეფიციენტი გვიჩვენებს სააღრიცხვო/საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული (და აქციონერთათვის ხელმისაწვდომი) შემოსავლის ფარდობას გამოშვებული აქციების რაოდენობასთან. ჩვეულებრივი აქციების მფლობელთათვის ხელმისაწვდომი თანხა იქნება დაბეგვრის შემდგომი წმინდა მოგება (გამოკლებული პრივილეგირებული აქციები, თუ ასეთი არსებობს).

ინვესტიციების ბევრი ანალიტიკოსი ერთ აქციაზე შემოსავალს კომპანიის საქმიანობის შედეგების ძირითად მაჩვენებლად მიიჩნევს. ერთ აქციაზე შემოსავლის ტენდენცია გამოიყენება კომპანიის აქციების საინვესტიციო შემოსავლის შესაფასებლად. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია იმ კომპანიების გავლენა, რომელთა გაუნაწილებელი მოგებაც იზრდება. კომპანიების უმეტესობა გარკვეული პროპორციით ინარჩუნებს გაუნაწილებელ თანხებს და, შესაბამისად, მათთვის ერთ აქციაზე შემოსავალი მაშინაც კი გაიზრდება, როდესაც კომპანიის მოგებიანობის დონე არ უმჯობესდება.

დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტში აქცენტი გადატანილია დივიდენდების მიმდინარე განაკვეთების შენარჩუნებაზე და, მაშასადამე, ამ კოეფიციენტით იზომება იმის ალბათობა, რომ ეს დივიდენდები შენარჩუნებული იქნება მომავალშიც. ეს მიიღწევა მიმდინარე განაკვეთებით გამოსახული დივიდენდების პროპორციის გაზომვით მოგების მიმართ, რომლის საფუძველზეც ხდება დივიდენდების გამოცხადება, გაუნაწილებელი მოგების გამოუკლებლად. რაც უფრო მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი, მით უფრო მეტად შეიძლება მოგების შემცირება ისე, რომ ამან გავლენა არ იქონიოს დივიდენდებზე.

დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტის მეშვეობით ერთმანეთს ედრება ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდი და აქციის საბაზრო ფასი და ეს კოეფიციენტი წარმოადგენს კომპანიის აქციებში განხორციელებული ინვესტიციების უკუგების პირდაპირ საზომს. ინვესტორები ამ კოეფიციენტს გამოიყენებენ სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობების შესადარისი ღირებულების (სარგებლიანობის) შესაფასებლად.

აქციის საბაზრო ფასისა და ერთ აქციაზე შემოსავლის ფარდობის კოეფიციენტის მეშვეობით ერთმანეთს ედრება აქციების ფლობიდან მიღებული სარგებელი და ამ აქციის შესყიდვის ფასი. იგი ნათლად გვიჩვენებს, რა ღირებულებას ანიჭებს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებელს და რამდენის გადასახდელად არის მზად ბაზარი ამ აქციის საყიდლად. სხვა სიტყვებით, იგი წარმოადგენს აქციის სამომავლო ფასის შესახებ ბაზრის კონსენსუსს, რადგან ასახავს, ერთის მხრივ, რა შეფასებას აძლევს ბაზარი აქციის ფასს, მეორე მხრივ, ამასთან დაკავშირებულ რისკსაც. რაც უფრო მაღალია აღნიშნული კოეფიციენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ აქციაზე შემოსავლის მით უფრო სწრაფ ზრდას მოელის სამომავლოდ ბაზარი. შესაბამისად, რაც უფრო დაბალია აქციის საბაზრო ფასისა და შემოსავლის ფარდობის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მცირე სამომავლო ზრდაა მოსალოდნელი ბაზარზე ერთ აქციაზე შემოსავლის.

ფინანსური კოეფიციენტები

არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს დააინტერესებს კომპანიის ფინანსური შეთანხმებები. გარეშე წყაროებიდან კომპანიის დაფინანსების ხარისხს ლევერიჯს უწოდებენ. ლევერიჯის დონე კომპანიის რისკის შეფასების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. კომპანიას, რომელსაც ნასესხები ნსახსრები აქვს, ცხადია, მათი გადახდის (პროცენტისა და ძირი თანხის) ვალდებულებები ეკისრება. ეს შეიძლება კომპანიისთვის

ფინანსური ტვირთი იყოს და, შესაბამისად, შესაძლოა მისი გადახდისუნარიანობის რისკი იზრდებოდეს. კომპანიების უმეტესობას გარკვეული დონის ლევერიჯი ახასიათებს. ლევერიჯის კოეფიციენტით იზომება კომპანიის გრძელვადიან ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ვალდებულებების ხვედრითი წილი კომპანიის გრძელვადიან კაპიტალთან მიმართებით. ლევერიჯის დონეზე გავლენას ახდენს მრავალი სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, კომპანიის მესაკუთრეებისა და მენეჯერების პოზიცია რისკთან მიმართებით, საკუთარი კაპიტალის სახსრების ხელმისაწვდომობა და იმ დარგის ტიპი, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტით იზომება მოგების იმ ნაწილის სიდიდე, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიისთვის გადასახდელი პროცენტების დასაფარად. რაც უფრო დაბალია პროცენტის დაფარვის დონე, მით უფრო დიდია რისკი იმისა, რომ კრედიტორები ვერ მიიღებენ კომპანიისგან გადასახდელ პროცენტს. თუ კომპანია ვერ იხდის პროცენტებსა და ძირ თანხას, ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას მას. სასესხო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება დაკარგოს ის აქტივები, რომლითაც სესხი იყო უზრუნველყოფილი და გაყიდოს ისინი ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარად. მაშინაც კი, როდესაც კრედიტორს გაცემული სესხი დაცული არა აქვს კომპანიის აქტივებით, მას მაინც შეუძლია, უჩივლოს კომპანიას, სასამართლოს ძალით მოახდინოს კომპანიის აქტივების ლიკვიდაცია და ამოიღოს თავისი დავალიანება.

რა უნდა ვიცოდეთ ზოგადად კოეფიციენტების ანალიზის შესახებ

სააღრიცხვო კოეფიციენტები მნიშვნელოვანია იარაღია, რომელსაც ბუღალტრები, ანალიტიკოსები და სხვები იყენებენ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის/ანალიზისთვის. კანდიდატებს კარგად უნდა ესმოდეთ კოეფიციენტების, როგორც ანალიზის ინსტრუმენტის მნიშვნელობაც და ასევე ამ ინსტრუმენტის გამოყენების შეზღუდვებიც. ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ყოველთვის, მათ შორის გამოცდაზეც, როდესაც დასკვნები გამოაქვთ კოეფიციენტების მეშვეობით ჩატარებული ანალიზიდან.

როდესაც ფინანსური ანგარიშგების ანალიზს ატარებთ სააღრიცხვო კოეფიციენტების მეშვეობით, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ:

- კოეფიციენტების ანალიზში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესადარისი ინფორმაციის გამოყენებას, სხვა შემთხვევაში ანალიზის ჩატარებას ამრიგად არა აქვს და ანალიზის შედეგები რეალური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას არ მოგცემთ. თუ არ გაქვთ დარგის საშუალო მაჩვენებლები, ან კომპანიის წინა წლების საქმიანობის მონაცემები, ანალიზის არეალი მნიშვნელოვნად შეზღუდული იქნება;
- როგორც უკვე აღვნიშნეთ, სააღრიცხვო კოეფიციენტები, რომლის მეშვეობითაც ანალიზი ტარდება, მოგებისა და ბარალის ანგარიშგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემებს ეყრდნობა. ორივე ეს ანგარიშგება კი ექვემდებარება პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვით განპირობებულ შეზღუდვებს. ამიტომ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინფლაციამ, აქტივების შეფასების განსხვავებულმა საფუძვლებმა ან კერძო ფასების ცვლილებებმა შეიძლება დაამახინჯოს სხვადასხვა კომპანიის და ასევე კომპანიის სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის შედეგები (თუმცა, საგამოცდო კითხვებში, შეიძლება მითითებული იყოს, რომ ანალიზში უნდა უგულებელყოთ ინფლაციის გავლენა);

- კოეფიციენტების ანალიზი გვეხმარება კომპანიის საქმიანობის საერთო სურათის შექმნაში. ამ სურათის სიმკვეთრე დამოკიდებულია იმ ფინანსური ინფორმაციის ხარისხზე, რომელსაც ეყრდნობა კოეფიციენტები. თუ ბუღალტრული ანგარიშები არაღამაკმაყოფილებლად არის შედგენილი (მაგ., ცვეთის არასწორი შეფასებები, საეჭვო და უიმედო ვალების არაადეკვატური შეფასებები და ა.შ.), მაშინ ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი სააღრიცხვო კოეფიციენტების მიხედვით გამოტანილი დასკვნები უსარგებლო იქნება;
- კომპანიის წარსული პერიოდების მაჩვენებლები ყოველთვის არ გამოდგება კომპანიის პერსპექტივის შესაფასებლად. სინამდვილეში, სანამ ანგარიშგება გამოქვეყნდება და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ანალიტიკოსებისთვის, რომ მათ კოეფიციენტები გამოითვალონ და ანალიზი ჩაატარონ, შეიძლება ეს ინფორმაცია უკვე მოძველებული იყოს.

დასკვნის სახით

ანალიზის კითხვა, სავარაუდოდ, ისეთი კითხვაა, რომლის მიხედვით შესაძლებელია კანდიდატების ცოდნის დიფერენცირება. უკან გადადგმული ნაბიჯით, გონივრული შენიშვნებითა და სცენარზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრებებით კანდიდატები ხელმისაწვდომი ქულების დიაპაზონის ზედა ზღვარს უახლოვდებიან.

მაშ ასე: კომენტარს ნუ გააკეთებთ მხოლოდ ციფრების ცვლილებებზე, თუ არ ახსნით „რატომ მოხდა ასე“; ბრმად ნუ „მიეჯაჭვებით“ „სახელმძღვანელოს“ პასუხებს, არ წარმოადგინოთ ისეთი პასუხები, რომლებიც დაფუძნებული არ არის კონკრეტულ საგამოცდო სცენარზე და დარწმუნდით, რომ გამომცდელს უყვებით ამბავს/ისტორიას კომპანიის საქმიანობის შესახებ!

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარები აუცილებლად დაგჭირდებათ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ორივე დონის გამოცდაზეც. ასე, რომ თქვენ კარგად უნდა აითვისოთ ეს უნარები და ანალიზის ინსტრუმენტი.

*სტატია მოამზადა ფინანსური ანგარიშგების მოდულის
საგამოცდო კომისიის წევრმა*

კოდექსის შესწორებები, რომლების მიზნად ისახავს პროფესიონალი ბუღალტრების მოსალოდნელი როლისა და აზროვნების სტილის წინ წამოწევას

მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

ასს 200-ში – „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“ – პროფესიული სკეპტიციზმი განმარტებულია შემდეგნაირად: „გარკვეული მიდგომა/პოზიცია სამუშაოს შესრულების მიმართ, რომელიც გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებასა და სიფრთხილის გამოჩენას ისეთ პირობებთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება მიაწინებდეს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ შესაძლო უზუსტობაზე, ასევე აუდიტის მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას“.

უკანასკნელ წლებში პროფესიონალური ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დამდგენ საბჭოებს არაერთხელ მიმართეს თხოვნით, რომ გადაეხედათ „პროფესიულ სკეპტიციზმთან“ დაკავშირებული არსებული სახელმძღვანელო მითითებებისთვის და შესაბამისი შესწორებები შეეტანათ, რომლებიც ხელს შეუწყობდა პროფესიული სკეპტიციზმის ცნების განმტკიცებას და ყველა პროფესიონალ ბუღალტრს დაავალდებულებდა პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედებას და არა მარტო იმ პრაქტიკოსებს, რომლებიც ატარებენ აუდიტსა და სხვა სახის მარწმუნებელ მომსახურებას.

შედეგად, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა განსახილველი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (კოდექსი) შესწორებების შეტანას. პროექტით გათვალისწინებული წინადადებები მიზნად ისახავდა „პროფესიონალი ბუღალტრების მოსალოდნელი როლისა და აზროვნების სტილის წინ წამოწევას“ (ამ პროექტით გათვალისწინებული შესწორებები აისახა პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის კოდექსის 2020 წლის გამოცემაში და ძალაში შევიდა 2021 წლის 31 დეკემბრიდან). კერძოდ, პროექტი მოიცავდა შემდეგ წინადადებებსა და ცვლილებებს:

- უფრო გამოიკვეთა საზოგადოებაში პროფესიონალი ბუღალტრების ფართო როლი და ურთიერთკავშირი კოდექსის მოთხოვნების დაცვასა და პროფესიონალი ბუღალტრის პასუხისმგებლობას შორის – იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ;
- ობიექტურობისა და პროფესიული ქცევის ძირითადი პრინციპების განმარტებების ცვლილებებს;
- პატიოსნების ძირითადი პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით ახალი მასალის დამატებას, რომელიც მოიცავდა „ჯეროვნად მოქმედების“ განმარტებას;
- კოდექსის გაძლიერებას პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ახალი მოთხოვნების შემოღებით იმასთან დაკავშირებით, რომ კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებისას პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა იმოქმედონ მაძიებელი გონებით, მიმართონ პროფესიულ განსჯას და გამოიყენონ კოდექსში აღწერილი გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი;

- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროფესიული სამუშაოს შესრულების დროს მიკერძოების შედეგად შექმნილი საფრთხის გაცნობიერებისა და პოზიტიური შიდა ორგანიზაციული კულტურის მქონე პროფესიული ფირმების მნიშვნელობაზე.

ამ სტატიის მიზანია, განვიხილოთ და შევაჯამოთ კოდექსის შესწორებების ზემოაღნიშნული განსახილველი პროექტის ძირითადი წინადადებები და ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში პროფესიონალი ბუღალტრების მოსალოდნელი როლისა და აზროვნების სტილის წინ წამოწევის მიზნით.

როლი და პასუხისმგებლობა

შემოთავაზებულ ცვლილებებში განმარტებული იყო, რომ კოდექსის მოთხოვნების დაცვა ბუღალტრებს საშუალებას აძლევს, შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობა – იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. თუმცა, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ მომზადებულ ახსნა-განმარტებით მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ კოდექსის მოთხოვნების დაცვა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ყოველთვის შეძლებენ ამ პასუხისმგებლობის სრულყოფილად შესრულებას. შესწორებების პროექტში ყურადღება გამახვილებულია ასევე იმ ფაქტზე, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ფართო სპექტრის ფუნქციებს ასრულებენ პრაქტიკაში და მათ კარგად იციან, რომ ორგანიზაციები პროფესიონალ ბუღალტრებს ამ საქმიანობისთვის იმითომ იწვევენ, რომ ისინი აცნობიერებენ იმ უნარებისა და ღირებულებების მნიშვნელობას, რომელსაც პროფესიონალი ბუღალტრები იყენებენ თავიანთ საქმიანობაში.

ობიექტურობა და პროფესიული ქცევა

შემოთავაზებული ცვლილებები მოიცავდა ობიექტურობისა და პროფესიული ქცევის ძირითადი პრინციპების აღწერილობის გაუმჯობესებას. შესწორებების განსახილველი პროექტი გვთავაზობდა „ობიექტურობის“ განმარტების შესწორებას, რათა ეს პრინციპი გამოსახული ყოფილიყო პოზიტიური და არა უარყოფითი ტერმინებით. პროექტის მიხედვით ობიექტურობის ახალი განმარტება უფრო პოზიტიური ტერმინებით იყო ჩამოყალიბებული, იმ თვალსაზრისით, რომ „არ დაუშვას კომპრომისი“ აღარ გამოიყენებოდა პროფესიულ ან საქმესთან დაკავშირებულ განსჯასთან მიმართებით, პირდაპირ კეთდებოდა აქცენტი პროფესიული და საქმესთან დაკავშირებული განსჯის რეალურ განხორციელებაზე, მაგრამ ისე, რომ განსჯა კომპრომეტირებული არ ყოფილიყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მიკერძოება, ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა პირების, ორგანიზაციების, ტექნოლოგიებისა თუ სხვა ფაქტორების მიზანშეწონელი გავლენა, ანდა სხვა პირებზე, ორგანიზაციებზე, ტექნოლოგიებსა თუ სხვა ფაქტორებზე მიზანშეწონელი დაყრდნობა.

შესწორებების პროექტის შემუშავებისას, ბესსს-მა ასევე განიხილა პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკურ ქცევაზე ისეთი ტექნოლოგიური მიღწევების პოტენციური გავლენის საკითხი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა მასივები. ამ პრობლემის გამო, „ობიექტურობის“ განახლებულ აღწერილობაში გათვალისწინებულია ტექნოლოგიის რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის პროფესიონალი ბუღალტრის ობიექტურობას. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბესსს-მა კოდექსის 120-ე განყოფილებისთვის განკუთვნილი მიკერძოების მაგალითების სიაში შეიტანა „ავტომატიზაციისადმი მიკერძოება“ (ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილულია

ქვემოთ). კოდექსის ძირითად პრინციპებსა და კონცეპტუალურ მიდგომაში ტექნოლოგიების გავლენის მითითება მიზნად ისახავდა ბუღალტრული აღრიცხვის, მარწმუნებელი მომსახურებისა და ფინანსების სფეროში მიმდინარე იმ ტრანსფორმაციების აღიარებას, რომელსაც იწვევს ტექნოლოგიების განვითარება და ტექნოლოგიური მიღწევები და ასევე მათი პოტენციური გავლენის გათვალისწინებას კოდექსის მოთხოვნებისა და, კონკრეტულად, ობიექტურობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფაზე.

შესწორებების პროექტი ასევე ითვალისწინებდა „პროფესიული ქცევის“ ძირითადი პრინციპის გაძლიერებას ახალი მოთხოვნის შემოღებით, რომელიც ასე იყო ჩამოყალიბებული: „ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობისას და საქმიან ურთიერთობებში პროფესიონალი ბუღალტერი უნდა მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება პროფესიის პასუხისმგებლობას _ იმოქმედოს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ“, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ უშუალოდ თავის პროფესიაზე იყოს ფოკუსირებული. ამგვარად, ეს შემოთავაზებული შესწორება მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირის გაძლიერებას ხუთი ძირითადი პრინციპის დაცვასა და პროფესიონალი ბუღალტრის პასუხისმგებლობას შორის _ იმოქმედოს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

პატიოსნება

პროექტი ასევე გთავაზობდა კოდექსში ახალი მასალის დამატებას კოდექსის მოთხოვნების გამოყენების ნაწილში „პატიოსნების“ ძირითად პრინციპთან დაკავშირებით. ამ ახალ მასალაში აღნიშნულია, რომ დილემებთან ან რთულ სიტუაციებთან დაპირისპირებისას პატიოსნება გულისხმობს კეთილსინდისიერებას, სამართლიანობას და მტკიცე ხასიათის ქონას, რათა პროფესიონალმა ბუღალტერმა ჯეროვნად იმოქმედოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზეწოლას განიცდის, რომ სხვაგვარად იმოქმედოს ან როდესაც ამგვარად მოქცევამ შესაძლოა პოტენციურად საზიანო პირადი ან ორგანიზაციული შედეგები გამოიწვიოს. აქვე მოცემული იყო ჯეროვნად მოქმედების განმარტება: „ჯეროვნად მოქმედება გულისხმობს, საკუთარ პოზიციებზე მყარად დგომას დილემის წინაშე ან რთულ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში; ან სხვებთან დაპირისპირებას/შედავებას, როდესაც შექმნილი ვითარება ამას მოითხოვს, გარემოებების შესაბამისად“.

შესწორებების პროექტზე მუშაობისას, ბესსს-მა განიხილა ეთიკის კოდექსში ტერმინის „ზნეობრივი გამბედაობის“ ჩართვის საკითხი და საჭირო იყო თუ არა იმის განმარტება, რომ ზნეობრივად მოქმედების გამბედაობა პროფესიონალი ბუღალტრისთვის საჭირო აუცილებელი ხარისხობრივი მახასიათებელია. თუმცა, ბესსს-ს აწუხებდა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ეთიკის კოდექსში მოცემული „ზნეობის“ ტერმინის განმარტება შესაძლოა წინააღმდეგობაში მოსულიყო სხვადასხვა იურისდიქციის განმარტებებთან, ეთიკისა და მორალის სუბიექტური და კულტურაზე დამოკიდებული ბუნების გამო. საბოლოოდ, ეს ცვლილება არ არის გათვალისწინებული ამჟამინდელ კოდექსში.

ამგვარად, შესწორებების პროექტში პატიოსნების პრინციპის აღწერაში „რთულ სიტუაციებში ჯეროვნად მოქმედების“ ცნების განმარტება ხაზს უსვამს სწორი მოქმედების აუცილებლობას იმ პრობლემების მიუხედავად, რომელსაც პროფესიონალი ბუღალტერი აწყდება პრაქტიკაში. იმ დროს, როდესაც ბუღალტრის პროფესია უზარმაზარი გამოწვევების წინაშე დგას და საზოგადოების ყურადღების ქვეშ იმყოფება, მნიშვნელოვანია, რომ კოდექსის შესწორებები ასახავდეს იმას, რომ ბუღალტრისთვის ერთია იმის ცოდნა, რომ რაღაც არასწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარი ამრის გამოთქმის გამბედაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოდექსის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება: მაძიებელი გონებით მოქმედება

2018 წლის მაისში საკონსულტაციო დოკუმენტის გამოცემის შემდეგ, რომელსაც ეწოდებოდა „პროფესიული სკეპტიციზმი – საზოგადოების მოლოდინების დაკმაყოფილება“, ბესს-მა განაცხადა, რომ კონსულტაციების პერიოდში მიღებული ვრცელი გამოხმაურებების შემდეგ, ფართოდ აღიარეს, რომ პროფესიონალ ბუღალტრებს უნდა ჰქონდეთ ამროვნების განსაკუთრებული სტილი, კერძოდ, უნდა შეეძლოთ მაძიებელი გონებით მოქმედება. ამჟამად, „მაძიებელი გონებით მოქმედების“ ცნება კოდექსში ფორმულირებულია შემდეგნაირად:

მაძიებელი გონებით მოქმედება ცნობილი ფაქტებისა და გარემოებების სწორად გააზრების წინაპირობაა, რაც აუცილებელია კონცეპტუალური მიდგომის სათანადო გამოყენებისთვის. მაძიებელი გონებით მოქმედება გულისხმობს:

- (ა) მოპოვებული ინფორმაციის წყაროს, მისი რელევანტურობისა და საკმარისობის განხილვას კონკრეტული პროფესიული საქმიანობის ხასიათის, მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით; და
- (ბ) შემდგომი გამოკვლევის ან სხვა ქმედებების საჭიროების მიმართ მზადყოფნას.

გარდა ამისა, საკონსულტაციო დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ პროფესიონალი ბუღალტრის ამროვნების სტილს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

მოპოვებული ინფორმაციის წყაროს, მისი რელევანტურობისა და საკმარისობის განხილვისას, პროფესიონალ ბუღალტერს, სხვასთან ერთად, უნდა შეეძლოს შემდეგი საკითხების განხილვა და განსჯა:

- გაჩნდა თუ არა ახალი ინფორმაცია, ან შეიცვალა თუ არა ფაქტები ან გარემოებები;
- შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაციაზე ან მის წყაროზე გავლენას ახდენდეს მიკერძოება ან ანგარება;
- ხომ არ არსებობს დაეჭვების მიზეზი, რომ შესაძლოა ბუღალტრისათვის ცნობილ ფაქტებსა და გარემოებებში გამორჩენილია პოტენციურად რელევანტური ინფორმაცია;
- არსებობს თუ არა შეუსაბამობა ცნობილ ფაქტებს, გარემოებებსა და ბუღალტრის მოლოდინს შორის;
- ეს ინფორმაცია ქმნის თუ არა დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის გამოსატანად;
- შესაძლებელია თუ არა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სხვა გონივრული დასკვნების გამოტანა.

ბესს-მა დაასკვნა, რომ არსებობდა ზოგადი შეთანხმება, რომ ტერმინი „პროფესიული სკეპტიციზმი“ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ აუდიტის ან მარწმუნებელი მომსახურების კონტექსტში. ამგვარად, კოდექსის შესწორებების პროექტი ითვალისწინებდა კოდექსის იმ განყოფილებების გადახედვას და შესწორებას, რომლებიც ეხებოდა ყველა პროფესიონალ ბუღალტერს, რათა კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებაში ახალი ელემენტი ჩართულიყო – „მაძიებელი გონებით მოქმედება“. ამასთან დაკავშირებით, ბესს-მა ამჯობინა სიტყვის „გონების“ გამოყენება და არა „ამროვნების“, რადგან სწორედ პირველი ტერმინი აღნიშნავს ამროვნების „სტილს“, რაზედაც სურდა საბჭოს ყურადღების გამახვილება.

მაშასადამე, შესწორებების პროექტში მოცემული წინადადებები მიმართული იყო იმაზე, რომ პროფესიონალი ბუღალტრები ნებისმიერი სამუშაოს შესრულების პროცესში უნდა ავლენდნენ „ცნობისმოყვარეობას“ და კრიტიკული შეფასების უნარს ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმართ და ახორციელებდნენ ამ ინფორმაციის მთლიანობის, რელევანტურობისა და საკმარისობის აუცილებელ შეფასებას ან გამოკვლევას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინფორმაციის რელევანტურობის ხაზგასმით საბჭოს სურდა გარკვეული შეხედულებების გაქარწყლება იმის თაობაზე, თითქოს პროფესიონალმა ბუღალტრმა უნდა განიხილოს და გაითვალისწინოს მისთვის ან სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაცია.

მართალია, შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხილვის მიმდინარეობისას კოდექსში არსებული მოთხოვნები ყველა პროფესიონალ ბუღალტრს უკვე ავალდებულებდა, რომ ისინი უნდა იხილავდნენ ან სიფხიბლეს ინარჩუნებდნენ იმასთან დაკავშირებით, შეიცვალა თუ არა ფაქტები და გარემოებები და, შესაბამისად, უკვე ავალდებულებდა მათ მაძიებელი გონებით მოქმედებას განხორციელებულ განსჯასა და მიღებულ გადაწყვეტილებებში, მაგრამ, საბჭოს აზრით, ამ მოთხოვნის უფრო ნათლად გამოკვეთა უფრო სასარგებლო იქნებოდა კოდექსის მომხმარებლებისთვის. საერთო ჯამში, როგორც ჩანს, პროფესიული სკეპტიციზმისა და მაძიებელი გონებით მოქმედების ცნებები კარგად შეესაბამება და ავსებს ერთმანეთს, რადგან სკეპტიციზმის გამოვლენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება: მიკერძოება

პროფესიული სკეპტიციზმის შესახებ ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, ბესს-მა დაასკვნა, რომ მნიშვნელოვანია პრაქტიკოსების ცნობიერების ამაღლება მიკერძოებისგან წარმოქმნილი რისკების შესახებ. აქედან გამომდინარე, განსახილველი პროექტი ითვალისწინებდა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტრის ინდივიდუალურ მიკერძოებაზე, რათა შემცირდეს ამგვარი მიკერძოებით გამოწვეული რისკი და მისი გავლენა, განსაკუთრებით პროფესიულ განსჯაზე, რაც ხელს შეუწყობს კონცეპტუალური მიდგომის ეფექტურ გამოყენებას.

ბემოაღნიშნული დამატების შესავსებად, შესწორებების განსახილველი პროექტი ასევე ითვალისწინებდა კოდექსში მიკერძოების ტიპური ფორმების საილუსტრაციო სიის შეტანას. შედეგად, ეთიკის კოდექსში შეტანილია მიკერძოების შემდეგი ტიპური მაგალითები:

- ფოკალიზმი („ღუზის ეფექტი“), რაც გულისხმობს მიღებული ინფორმაციის საწყისი (პირველი) ნაწილის დასაყრდენად („ღუზად“) მიჩნევის ტენდენციას, რომლის გავლენით სათანადოდ ვერ ფასდება შემდგომში მიღებული ინფორმაცია;
- ავტომატიზაციისადმი მიკერძოება, რაც გულისხმობს ავტომატიზებული სისტემების მიერ გენერირებული შედეგებისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენციას მაშინაც კი, თუ სალი აზრი (არგუმენტაცია) ან საწინააღმდეგო ინფორმაცია ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, არის თუ არა ამგვარი შედეგი სანდო ან მიზნისთვის გამოსადეგი;
- ხელმისაწვდომობის მიკერძოება, რაც გულისხმობს უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭების ტენდენციას ისეთ მოვლენებსა თუ გამოცდილებებზე, რასაც უცებ გაიხსენებენ ან ადვილად არის ხელმისაწვდომი;
- დადასტურების მიკერძოება, რაც გულისხმობს უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭების ტენდენციას იმ ინფორმაციისთვის, რომელიც არსებულ მოსაზრებას ადასტურებს, ვიდრე ისეთი ინფორმაციისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება ან ეჭვქვეშ აყენებს მას;

- ჯგუფური აზროვნება, რაც გულისხმობს ჯგუფის მიერ ცალკეული ინდივიდების ინდივიდუალური კრეატიულობისა და პასუხისმგებლობის უგულებელყოფის ტენდენციას, რის შედეგადაც გადაწყვეტილებები მიიღება საკმარისი კრიტიკული მსჯელობის/დასაბუთების ან ალტერნატიული ვარიანტების განხილვის გარეშე;
- ზედმეტი თავდაჯერებულობის მიკერძოება, რაც გულისხმობს რისკის, მსჯელობის ან გადაწყვეტილების ზუსტი შეფასების საკუთარი უნარის გადაჭარბებულად შეფასების ტენდენციას;
- რეპრეზენტაციულობის მიკერძოება, რაც გულისხმობს საკუთარი წარმოდგენის შექმნის ტენდენციას ისეთ გამოცდილებაზე, მოვლენებზე ან მოსაზრებაზე დაყრდნობით, რაც რეპრეზენტაციულად მიიჩნევა;
- შერჩევითი აღქმა, რაც გულისხმობს ისეთ ტენდენციას, როდესაც ადამიანის მოლოდინი გავლენას ახდენს იმაზე, როგორ განიხილავს ადამიანი კონკრეტულ საკითხს ან პიროვნებას.

გემოაღნიშნული ცვლილებების შეტანა კოდექსში მიმართული იყო იმაზე, რომ ნებისმიერ პროფესიონალ ბუღალტერს გაეცნობიერებინა მიკერძოების, ზეწოლის და სხვა დაბრკოლებების როლი, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მის ქცევაზე. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პოტენციურ მიკერძოებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებით, პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია რისკისა და მისი გავლენით (განსაკუთრებით პროფესიული განსჯის განხორციელების უნარზე) გამოწვეული პოტენციური ზიანის შემცირება. მაშასადამე, მიკერძოების რისკის შეცნობითა და მიკერძოების შესაძლო წყაროების გათვალისწინებით, გემოაღნიშნული მაგალითების გამოყენებით, პროფესიონალი ბუღალტერი შეძლებს შემდგომში შექმნილი საფრთხეების გამოვლენასა და შემცირებას.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება: ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა

ბესს-ს ასევე მიაჩნია, რომ პროფესიონალი ბუღალტრის დამქირავებელი ორგანიზაციის შიდა კულტურას, პროფესიონალ ბუღალტერთა აუდიტორული ფირმა იქნება ეს თუ სხვა ტიპის ორგანიზაცია, შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა იმაზე, პროფესიონალი ბუღალტრები დაიცავენ თუ არა კოდექსის მოთხოვნებს და ეთიკურად იმოქმედებენ თუ არა. ამგვარად, შესწორებების განსახილველი პროექტი ითვალისწინებდა კოდექსში ახალი მასალის დამატებას, სადაც ახსნილი იქნებოდა პოზიტიური შიდა ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა კონცეპტუალური მიდგომის ეფექტური გამოყენების საქმეში. კერძოდ, კოდექსის 120-ე განყოფილებას ამასთან დაკავშირებით დაემატა ახალი ქვესათაური და რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი:

ორგანიზაციული კულტურა

- პროფესიონალი ბუღალტრების მიერ კონცეპტუალური მიდგომის გამოყენების ეფექტიანობა მალღდება მაშინ, როდესაც კოდექსის ძირითადი პრინციპების შესაბამისი ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობის პროპაგანდასა და კოდექსის სხვა დებულებების რეალიზებას ხელს უწყობს ბუღალტრის ორგანიზაციის შიდა კულტურა.
- ორგანიზაციაში ეთიკური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც:
 - (ა) ხელმძღვანელები და ორგანიზაციის მმართველობითი პერსონალი ხელს უწყობენ ორგანიზაციის ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობის პროპაგანდას და ანგარიშვალდებულად თვლიან საკუთარ თავსა და სხვებსაც, რომ პირადი

მაგალითის მეშვეობით მოახდინონ ორგანიზაციის ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობის დემონსტრირება;

- (ბ) ორგანიზაციაში მოქმედებს განათლებისა და სპეციალური მომზადების სათანადო პროგრამები, მმართველობითი პროცესები, ასევე პერსონალის მუშაობის შეფასებისა და წახალისების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს ეთიკური კულტურის დამკვიდრებასა და განვითარებას;
- (გ) ორგანიზაციაში მოქმედებს ეფექტური პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მიზანია იმ პირების (მათ შორის, არასამართლებრივი ქმედების მამხილებელი პირების) წახალისება და დაცვა, რომლებიც ინფორმაციას/ანგარიშს წარადგენენ რეალური ან საეჭვო უკანონო ქმედების, ან არაეთიკური საქციელის შესახებ; და
- (დ) ორგანიზაცია ეთიკური ღირებულებების მიმართ ერთგულებას ავლენს მესამე მხარეებთან ურთიერთობის დროს.

მოსალოდნელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრები თავიანთ ორგანიზაციაში ხელს შეუწყობენ ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დამკვიდრებას, დაკავებული თანამდებობისა და ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით.

ბემოაღნიშნული ცვლილებები ავსებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემოთავაზებულ ახალ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს, „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“, რომლის მოთხოვნები ეხება ფირმის პასუხისმგებლობას ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის შექმნასა და დანერგვაზე.

დასკვნა

განსახილველ პროექტში მოცემული წინადადებების (და, მაშასადამე, კოდექსში შეტანილი შესაბამისი შესწორებების) მნიშვნელოვანი ღირსება იმაში გამოიხატება, რომ ეს დამატებები და ცვლილებები უფრო აშკარად შეახსენებს პროფესიონალ ბუღალტრებს საზოგადოებაში მათი როლის მნიშვნელობას და ასევე რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოდექსის მოთხოვნების დაცვა პროფესიონალი ბუღალტრების პასუხისმგებლობის შესრულებაში – იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. პროექტის წინადადებებში ასევე ხაზგასმული იყო ძირითადი პრინციპების გაძლიერებისა და კონცეპტუალური მიდგომის გამოყენების გაუმჯობესების აუცილებლობა ისეთი ახალი ცნებების დანერგვით, როგორიცაა მაძიებელი გონებით მოქმედების მნიშვნელობა.

სტატია მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების (უმაღლესი დონე) მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა

ვებგვერდი, 13/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017637

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №405
2022 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

**„დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი
ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესისა და
პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2019 წლის 14 თებერვლის №42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის №42 ბრძანებით (ვებგვერდი, 15/02/2019, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.017178) დამტკიცებულ „დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესისა და პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის პირველ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. გაანგარიშებაში ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა ექვემდებარება გაანგარიშებაში განულებას, არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველი სამუშაო დღისა.“.

2. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. დღ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელების გაანგარიშებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთების გადმოტანა ხორციელდება 0-ის ტოლი თანხის გატარებით, მიუხედავად იმისა, გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიქსირდება ზედმეტობა თუ სალდირებული საგადასახადო დავალიანება (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული).

2. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელების შესახებ მონაცემთა მართვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრების ჯგუფში შემავალი სუბიექტების გაანგარიშებაში 2022 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული ზედმეტად გადახდილი თანხა გაანგარიშებაში განულებს არაუგვიანეს 2022 წლის 15 დეკემბრისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 16/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020719

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 238-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12⁴ ნაწილი:

„12⁴. ამ თავით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უზრუნველყოფის აქტივების გაერთიანებაში შემავალ აქტივებზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
29 ნოემბერი 2022 წ.
N2113-IXმს-Xმპ

ვებგვერდი, 15/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020677

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას ამ შემოწმების ფარგლებში ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე კომერციული ბანკისგან გამოითხოვოს პირის შესახებ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციას საგადასახადო ორგანო გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის 31 ნაწილითა და ამ კოდექსის 70² მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 70² მუხლი:

„**მუხლი 70².** „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები

1. „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავ-

ტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან/და საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებით (შემდგომ – ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებები) განსაზღვრული ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტი (შემდგომ – ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტი) ვალდებულია განახორციელოს სათანადო პროცედურები აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული „ანგარიშშემგების საერთო სტანდარტის“ თანახმად და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამისი იურისდიქციის რეზიდენტი პირის ანგარიშშემგებისადმი დაქვემდებარებული თითოეული ფინანსური ანგარიშის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინება იმ კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, რომელსაც იგი უკავშირდება, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 30 ივნისისა.

3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ანგარიშშემგები ფინანსურ ინსტიტუტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რისთვისაც მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას არანაკლებ 15 კალენდარული დღისა.

4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მიღებული ინფორმაცია გადასცეს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებების წევრი იმ იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს, რომლებთანაც ამოქმედებულია აღნიშნული შეთანხმებები.

5. ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ანგარიშშემგების წესს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

6. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელოს ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლი.

7. პირის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული „ანგარიშშემგების საერთო სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებებისთვის თავის ასარიდებლად დადებული გარიგება ან განხორციელებული ქმედება მას არ ათავისუფლებს ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისგან.“.

3. კოდექსს დამატოს შემდეგი შინაარსის 279² მუხლი:

„მუხლი 279². ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა

1. ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვადის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველი დაგვიანებული დღისთვის 3 000 ლარის ოდენობით. ამასთანავე, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

2. ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა –

იწვევს პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველი შემდგომი განმეორებისთვის 20 000 ლარის ოდენობით.

4. ანგარიშშემგები ფინანსური ინსტიტუტის მიერ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის არასრულად/არასწორად წარდგენა –

იწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილ ინფორმაციაში გამოტოვებული ან არასრულად/არასწორად წარდგენილი ანგარიშშემგებისადმი დაქვემდებარებული თითოეული ანგარიშისთვის 10 000 ლარის ოდენობით. ამასთანავე, ამ ნაწილის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის 100 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

5. პირს ამ მუხლის პირველი-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შესაბამისი სამართალდარღვევა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მათ შორის, თუ გამოვლინდება, რომ პირს არ აქვს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.“.

მუხლი 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2023 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70² მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წესი.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
30 ნოემბერი 2022 წ.
N2138-IXმს-Xმპ

ვებგვერდი, 15/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020683

საქართველოს კანონი

**საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ციფრული მმართველობის სააგენტოს – ამ სააგენტოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საჯარო სამსახურის ბიუროსთვის გადასაცემად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, მონაცემების ელექტრონული მიმოცვლის სისტემის ფუნქციონირებისთვის;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
30 ნოემბერი 2022 წ.
N2214-IXმს-Xმპ

ვებგვერდი, 27/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020739

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
15 დეკემბერი 2022 წ.
N2400-IXმს-Χმპ

ვებგვერდი, 27/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020741

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.06.2016, სარეგისტრაციო კოდი 200000000.05.001.018123) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-10 ნაწილი ამოღებულ იქნეს.
2. მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-18 ნაწილი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
16 დეკემბერი 2022 წ.
N2441-IXმს-Χმპ

ვებგვერდი, 13/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
200010000.05.001.020668

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი²) მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობაზე, რომელიც უკავშირდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტულ ფასზე სახელმწიფო ზედამხედველობას და რომელიც ხორციელდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
1 დეკემბერი 2022 წ.
N2274-IXმს-Хმპ

ვებგვერდი, 15/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
240000000.05.001.020689

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.08.2021, სარეგისტრაციო კოდი: 240000000.05.001.020373) მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირის თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა ან სიტყვათწყობა“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
30 ნოემბერი 2022 წ.
N2205-IXმს-Хმპ

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტები:

„ბ¹) პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი – ბუღალტერი, რომელიც რეგისტრირებულია ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;

ბ²) საბუღალტრო ფირმა – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც რეგისტრირებულია საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;“;

ბ) „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებსა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისთვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის მართვის სისტემის შეფასება;“.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს დასაქმებული ბუღალტრის ან პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის მეშვეობით, აგრეთვე საბუღალტრო ფირმის ან აუდიტორული ფირმის მიერ მომსახურების გაწევით.“.

3. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას.“.

4. IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეესტრი, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრი და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრი“.

5. მე-12 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“;

ბ) მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები;“;

გ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები;“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ მუხლი:

„მუხლი 13¹. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, განგრძობითი განათლება

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მათ სტრუქტურასა და ფორმას, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხას, მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესსა და მართვის დელეგირების წესს განსაზღვრავს სამსახური.

2. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრისა და საბუღალტრო ფირმისთვის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს სამსახური თავის მიერ დადგენილი წესით.

3. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული მომსახურების ფარგლებში იწვებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ვალდებულია საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში“.

7. მე-14 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისთვის მოთხოვნილი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, სამსახურის მიერ დადგენილი წესით.“.

8. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სდპ-ის, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების/ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ტარდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამსახური შესაბამის მარეგულირებელ ორგანოსთან/საზედამხებველო ორგანოსთან ერთად ადგენს, სდპ-ის აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გარდა, საქმიანობის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც დამატებით ექვემდებარება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს.“.

9. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელ პირზე მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.“.

10. მე-19 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია ჰქონდეს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM) შესაბამისად.

2. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტები და მითითებები იმ პირთა ხარისხის მართვის სისტემის შესახებ, რომლებიც ატარებენ აუდიტს და ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, აგრეთვე სხვა მარწმუნებელ გარიგებას და დაკავშირებულ მომსახურებას.“;

ბ) მე-6-მე-17 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესს განსაზღვრავს და წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს ადგენს სამსახური.

7. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს სამსახური. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე განახორციელოს. ამასთანავე, სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე განახორციელოს. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადეკვატური უნდა იყოს.

7¹. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პირისგან/ აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/ დოკუმენტაცია (მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით). ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია განისაზღვრება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

8. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებას სამსახური განიხილავს მისი წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახური ვალდებულია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა დაიწყოს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი.

9. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის და არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ იმ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის, რომელიც სდპ-ისა და პირველი კატეგორიის საწარმოს აუდიტს ატარებს.

10. ის აუდიტორული ფირმა, რომელიც აპირებს ჩაატაროს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ამასთანავე, გავლილი აქვს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, მაგრამ არ აქვს ჩატარებული სდპ-ის აუდიტი, ვალდებულია აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმართოს სამსახურს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. სამსახური ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სამსახურისთვის მიმართვის ფორმას ადგენს სამსახური.

11. სამსახური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც საქმიანობის დაწყებამდე სულ მცირე ბოლო უწყვეტი 1 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), აუდიტორულ ფირმაში არ ჰქონია ხმის უფლება, დასაქმებული არ ყოფილა აუდიტორულ ფირმაში მმართველობითი ორგანოს ან სახედამხედველო ორგანოს წევრად და არც სხვაგვარად ყოფილა აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული, არ არის დაინტერესებული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგებით და აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

12. პირს ევრძალება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელება, თუ იგი იყო იმ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პარტნიორი/აქციონერი, გარიგების პარტნიორი, დასაქმებული ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირი, რომლის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგიც ხორციელდება, ამ ურთიერთობის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

13. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელებისას სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები და დამხმარე პერსონალი.

14. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად მიღებიდან 1 თვის ვადაში სამსახური წარადგენს წინასწარ შედეგებს. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის საბოლოო შედეგები აისახება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებულ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში. სამსახური განიხილავს მონიტორინგის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის ან/და გარიგების პარტნიორისთვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენის ან/და დაკმაყოფილების ან/და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საბჭოსა და სასამართლოში.

15. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, გარიგების პარტნიორი, აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

16. თუ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ან/და გარიგების პარტნიორი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულებს სამსახურის მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, სამსახური ვალდებულია ასეთი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომები ამ კანონით დადგენილი წესით.

17. აუდიტორის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა აუდიტორს ეკისრება. აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამის გარიგების პარტნიორს.“;

გ) მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები საჯაროა. ეს შედეგები შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში.“.

11. მე-20 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრას, წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურების დადგენას;

ე) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელებას;“;

ბ) მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;“.

12. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სამსახურის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა;“.

13. 24-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირისთვის/აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების

პარტნიორისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნებისა და ამ მართვის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ან/და რეესტრიდან ამოღებას.“.

14. 28-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე პუნქტი:

„22. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული მომსახურების ფარგლებში აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, ვალდებულია არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივლისისა დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში“.

მუხლი 2

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 13¹ მუხლით განსაზღვრულ სამართლებრივ აქტებს გამოსცემს ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით მიანიჭებული უფლებამოსილება სდპ-ისა და იმავე კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პირის მიმართ აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმას უნარჩუნდება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-3 პუნქტისა, მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 131 მუხლის მე-3 პუნქტისა, მე-7-მე-10 პუნქტებისა, მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-3 პუნქტი, მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-7-მე-10 პუნქტები, მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 15 დეკემბრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 13¹ მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
1 დეკემბერი 2022 წ.
N2288-IXმს-Χმპ

ვებგვერდი, 27/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
230000000.05.001.020745

საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.07.2019, სარეგისტრაციო კოდი: 230000000.05.001.019529) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 213-ე მუხლის:

ა) მე-6 და მე-7 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2026 წლის 1 იანვრამდე იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის მათზე საცალო წესით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე ან/და საქართველოს საქონელი.

7. ოქროს სიაში შეყვანით პირს 2026 წლის 1 იანვრამდე ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ისარგებლოს გამარტივებული საბაჟო ფორმულებით.“;

ბ) მე-9 და მე-10 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. 2026 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.

10. 2026 წლის 1 იანვრამდე საბაჟო ორგანოსთვის ამ კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება.“.

2. 214-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის X წიგნის მოქმედება შეჩერდეს 2026 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
16 დეკემბერი 2022 წ.
N2440-IXმს-Χმპ

ვებგვერდი, 21/12/2022
სარეგისტრაციო კოდი
000000000.00.00.016689

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №30813
2022 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი**

„ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 11–14 პუნქტები შემდეგი შინაარსით:

„1¹. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესზე გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობით გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს:

- ა) სრულად;
- ბ) ნაწილობრივ;

1². საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის სრულად გადასვლისას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის სპეციალური წესი ვრცელდება მის მიერ გამოწერილ ყველა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე.

1³. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის ნაწილობრივ გადასვლისას, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის სპეციალური წესი გავრცელდება მხოლოდ მის მიერ შერჩეულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე.

1⁴. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე გადასახადის გადამხდელის ნაწილობრივ გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადასახადის გადამხდელი სრულად გადასულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე.“.

2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს 31 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„3¹. თუ გადასახადის გადამხდელი ნაწილობრივ სარგებლობს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალური წესით და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაუფიქსირდება დავალიანება, გადასახადის გადამხდელი სრულად გადავა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების გამოყენების სპეციალურ წესზე.“.

3. მე-3 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„7. სეს ესნ-ის მე-10, მე-11 და მე-12 ჯგუფებით გათვალისწინებული საქონლის შეძენისას მიმღები (მყიდველი) უფლებამოსილია მიმწოდებელს (გამყიდველს) მოსთხოვოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელზეც ვრცელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი.“.

4. მე-4 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„6. თუ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გააქტიურებულია ავტომატურად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის (გამყიდველის) საგადასახადო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების ან/და მიმღებისთვის (მყიდველისთვის) დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გაუქმების (აღდგენის) შემთხვევაში, მიმღები (მყიდველი) უფლებამოსილია შემოსავლების სამსახურს მიმართოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული შესაბამისი დღგ-ის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის მიზნით.“.

5. მე-6 მუხლის „გ“ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
ბაჟის საგადასახადო კომიტეტი

კითხვა:

ვართ შპს, რომელიც არის დღგ-ს გადამხდელი. დიპლომატმა ფიზიკურმა პირმა, წინასწარი ინვოისის საფუძველზე, თანხა ჩაგვირიცხა ავანსად (დღგ-ს გარეშე), საქონელს მომდევნო თვეში მივანოდებთ. როგორ ავსახოთ დეკლარაციაში მიღებული ავანსი, რომელიც არ იბეგრება?

პასუხი:

თუ დაცულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების ყველა წინაპირობა და დიპლომატზე მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან (რაც ითვალისწინებს მ.შ. საფ-ის გამოწერის ვალდებულებასაც), დეკლარაციაში ამ თანხას ასახავთ, როგორც დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ბრუნვას.

კითხვა:

შპს-ს გაშენებული აქვს ნუშის ნერგები, რომელიც აღიარებულია ძირითად საშუალებად. გვაინტერესებს, მასში გადახდილ თანხას ქონების გადასახადში ვითვალისწინებთ, თუ როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტი, გათავისუფლებულია ქონების გადასახადიდან?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის მე-8.6 მუხლის თანახმად, ცხოველი ან მცენარე წარმოადგენს ბიოლოგიურ აქტივს, ხოლო 206.1-ე მუხლის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიოლოგიური აქტივი გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან. აქედან გამომდინარე, თუ თქვენი ნერგები სრულად ექცევა ბიოლოგიური აქტივის განმატებაში, ის გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

კითხვა:

საგადასახადო კოდექსით რა შეღავათები და პრეფერენციები არსებობს აიტი კომპანიებზე საქართველოში, მათ შორის არარეზიდენტ კომპანიებზეც, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში?

პასუხი:

თქვენი კითხვა ძალიან მოცულობითია და შეეხება საგადასახადო კანონმდებლობის დიდ ნაწილს, რაც არ გვაძლევს ადეკვატური პასუხის გაცემის საშუალებას, ვინაიდან საუბარია სხვადასხვა სტატუსის პირობებში სხვადასხვა გადასახადისგან გათავისუფლებაზე, სრულიად განსხვავებული მოთხოვნების შესრულების პირობებში.

ზოგადად აღნიშნული სექტორის კომპანიის გადასახადებისგან გათავისუფლება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ისეთი სპეციალური „სტატუსების“ მიღების შემდგომ, როგორიცაა:

1. ვირტუალური ზონის პირი
2. საერთაშორისო კომპანია

თუმცა აღნიშნული სტატუსების აღება-შენარჩუნებისთვის აუცილებელია განსხვავებული სახის წინაპირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გარდა სპეციალური სტატუსების მიღების გზით გადასახადებისგან გათავისუფლებისა, დღგ-ის ნაწილში გათავისუფლება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის ადგილად სსკ-ის 1621-ე მუხლით ჩაითვლება არა საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნის ტერიტორია.

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ მიერ დასმული საკითხი ძალიან ვრცელი და მოცულობითია, ჩვენი აზრით, აჯობებს, თუ უფრო მეტი კონკრეტიკისთვის მიმართავთ საგადასახადო კონსულტანტს.

კითხვა:

ვართ შპს, რომელიც საქმიანობს საერთაშორისო გადაზიდვებში. გვაინტერესებს, იბეგრება თუ არა სამღვარგარეთ მივლინების დროს, სასტუმროსთვის გადახდილი მვრულზე მაღალი თანხა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დოკუმენტურად დადასტურებული სასტუმრო ხარჯები?

პასუხი:

თქვენ მიერ დასმული საკითხი მეტისმეტად ვრცელი და ორაზროვანია. ამ უკანასკნელის გამო არის უამრავი შემთხვევა, როცა ამ თემაზე მოხდა კომპანიების დაჯარიმება შემოსავლების სამსახურის მიერ დანიშნული საგადასახადო შემოწმებისას.

თუმცა, მეორე მხრივ, არიან კომპანიები, რომლებმაც წარმატებით დააღწიეს თავი სამივლინებო ხარჯების გაწევის პირობებში კომპანიების დამატებით საგადასახადო დაბეგვრას.

ზოგადად, მივლინების ხარჯების გაწევისას, იმისათვის, რომ არ მოხდეს კომპანიისთვის დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება, უნდა სრულდებოდეს შემდეგი წინაპირობები:

1. მივლინებაში უნდა იგზავნებოდეს დაქირავებით მომუშავე პირი (იხ. სსკ-ის მე-12 მუხლი) და არა მომსახურების გამწევი „გარეშე“ ფიზიკური პირი.
2. სახეზე უნდა იყოს დაქირავებულის ე.წ. დროებითი „მოწყვეტა“ მისი ძირითადი სამუშაო ადგილიდან.
3. მივლინება დაკავშირებული უნდა იყოს კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობიდან რომელიმეს შეუსრულებლობის შემთხვევაში მივლინების ხარჯები დაიბეგრება არა მხოლოდ დადგენილი ნორმის ზემოთ თანხების გადახდისას, არამედ ზემოთ ხსენებული ნორმის ფარგლებშიც. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში ეს საგადასახადო რისკები უნდა გამოირიცხოს.

თქვენ მიერ დასმული საკითხის სირთულიდან გამომდინარე, არსებობს სხვა საგადასახადო რისკებიც, რაზეც ამომწურავი პასუხის გაცემაც კითხვა-პასუხის ამ ფორმატში შეუძლებელია, ვინაიდან საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. ამიტომაც აჯობებს, თუ უფრო მეტი კონკრეტიკისთვის მიმართავთ საგადასახადო კონსულტანტს.

კითხვა:

შპს ქირაობს ფიზიკური პირისგან ავტომობილს და მისი ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოფს ყველა ხარჯს, სანგავის ჩათვლით. რამდენად შესაძლებელია ამ ხარჯების დღგ-ს ჩათვლა?

პასუხი:

შესაძლებელია, თუ დაადასტურებთ ამ დანახარჯების კავშირს თქვენს ეკონომიკურ საქმიანობასთან და სანგავი ჩამოწერილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კითხვა:

შპს-მ იმპორტით ბაქოდან შემოვიტანეთ საქონელი, რომლის ნაწილიც გაფუჭებულია, რაც აღმოვაჩინეთ განბაჟების შემდგომ ჩვენს სანყოფნაში. ეს უვარგისი საქონელი უკან უნდა დავუბრუნოთ მომწოდებელს. გვაინტერესებს, რა საბუთებია საჭირო ჩვენი მხრიდან ან/და მომწოდებლის მხრიდან და რა დაბეგვრის რეჟიმში მოხვდება აღნიშნული საქონელი?

პასუხი:

თუ საქონელი უკვე განბაჟებულია იმპორტის რეჟიმში, მაშინ მისი საზღვარგარეთ გატანა მოხდება ექსპორტის რეჟიმში. რაც შეეხება საბუთების იურიდიულ გაფორმებას, აჯობებს, თუ მიმართავთ კონსულტანტს.

კითხვა:

ვარ ფიზიკური პირი. საკუთარი მოხმარებისთვის რა რაოდენობის იდენტური საქონლის შემოტანა შემიძლია ერთბაშად, არის თუ არა შეზღუდვა საერთოდ ანალოგიური საქონლის შემოტანისას და ასევე, შეზღუდულია თუ არა თანხობრივად ასეთი საქონლის შემოტანა საგადასახადო კოდექსით?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებულია:

„დ) ფიზიკური პირის მიერ:

დ.ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302–0307, 2201–2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფებით (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის გარდა) გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის;

დ.გ) მგზავრის მიერ 200 ლერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ლერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;

დ.გ1) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურიზებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;

დ.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამომდინარე დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

დ.ე) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ვ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის გარდა) იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის, აგრეთვე 200 ლერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ლერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, აგრეთვე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ.ზ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“.

ამავე (199-ე) მუხლში შეგიძლიათ გაეცნოთ აგრეთვე სხვა საქონლის ჩამონათვალს, რომელიც გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან ყველა კატეგორიის გადასახადის გადამხდელისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული საქონელი, შემთხვევათა უმეტესობაში, ასევე თავისუფლდება იმპორტისას გადასახდელი დღგ-ისგანაც (იხ. 171-ე და 172-ე მუხლები), ხოლო აქციზური საქონელი - აქციზისგანაც (იხ. 194-ე მუხლი).

კითხვა:

თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირი ონლაინ რეჟიმში მიწვევს საკონსულტაციო მომსახურებას, მომსახურების ხელშეკრულებაში საშემოსავლო 10%-ით უნდა დავბეგრო და ასევე უკუდაბეგვრის დღგ არის თუ არა გადასახდელი? კოდექსის რომელი პუნქტით შეიძლება დამიდასტურდეს მომსახურების განწვევის ადგილი?

პასუხი:

თუ თქვენ არამეწარმე ფიზიკური პირი ბრძანდებით, მაშინ ასეთი ვალდებულებები არ წარმოგეშობათ. ხოლო თუ თქვენ მეწარმე ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ხართ, მაშინ შეიძლება წარმოგეშვათ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება თუ სრულდება (იხ. საგადასახადო კოდექსის 104-ე და 134-ე მუხლები) ქვემოთ მოცემული სამივე წინაპირობა:

1. არარეზიდენტისთვის გადახდილი შემოსავალი ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად სსკ-ის 104-ე მუხლის მიხედვით (დასაბუსტებელია, რას ეხება ეს მომსახურება, სად გაიწვეა ეს მომსახურება ფაქტობრივად და სხვა დეტალები).

2. არარეზიდენტი არ ეწევა მომსახურებას საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.
3. არარეზიდენტი კომპანია არის იმ ქვეყნის რეზიდენტი, რომელთანაც საქართველოს არ გააჩნია ორმაგი დაბეგვრისგან თავიდან აცილების საერთაშორისო შეთანხმება ან ასეთი შეთანხმება არსებობს, მაგრამ არ ითვალისწინებს საქართველოში გადასახადისგან გათავისუფლებას ამა თუ იმ მიზეზის გამო (არ არის წარმოდგენილი რეზიდენტობის ცნობა, შემოსავლების მიმღები არ არის შემოსავლის „ბენეფიციური მფლობელი“, არ არის ცალსახა ჩანაწერი, რომ შემოსავალი დაიბეგრება მეორე ქვეყანაში და სხვა).

გარდა ამისა, თუ არარეზიდენტი ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს უცხოეთში, წარმოგეშობათ უკუდაბეგვრის დღგ-ის დარიცხვისა და შემდგომში გადახდის ვალდებულება (იხ. 161-ე და 1621-ე მუხლები) იმ პირობით, რომ თქვენი კომპანია არ არის დღგ-ის გადამხდელი ან ახორციელებს ე.წ. ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებს.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს და აქვს, მაგალითისთვის, მხოლოდ 18%-იანი ბრუნვები, მოხდება უკუდაბეგვრის დღგ-ის დარიცხვა და ჩათვლა, რაც დამატებით საგადასახადო ვალდებულებებს არ წარმოშობს.

კითხვა:

შპს-ს ფიზიკურმა პირმა მაჩუქა მაღაზიისთვის სავაჭრო ინვენტარი. როგორ უნდა გავაფორმო შპს-ს სახელზე იმ დროს, როდესაც თავად ამ ფიზიკურ პირს არა-ნაირი დოკუმენტი არ აქვს მისი საკუთრების დასამტკიცებლად. მას ყველაფერი შეძენილი ჰქონდა დიდი ხნის წინ. ხომ არ იბეგრება ეს ფიზიკური პირი და როგორ ავიყვანო კანონიერად ჩემს ბალანსზე ეს ნაჩუქარი ქონება?

პასუხი:

გააფორმეთ ჩუქების ხელშეკრულება და ბალანსზე ასაყვანად შეაფასეთ ეს ქონება საბაზრო ღირებულებით.

მჩუქებელი ფიზიკური პირის დაბეგვრის საკითხი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, იყენებდა თუ არა იგი ამ ქონებას ეკონომიკური საქმიანობისთვის, არის თუ არა ეს პირი რეგისტრირებული მეწარმედ, გასულია თუ არა მისი შეძენიდან 2 წელი (საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის) და ა.შ.

ამ უკანასკნელი მომენტების დაზუსტების გარეშე რთული იქნება თქვენ მიერ დასმულ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა.

კითხვა:

ვართ ახალი რეგისტრირებული ტუროპერატორი და გვაინტერესებს, ტურიზმის სფეროში დღგ-ს გადახდაზე რაიმე შეღავათი ხომ არ არსებობს, ანუ ავიაბილეთების და უცხოეთში სასტუმროებისათვის გადარიცხული თანხები სტანდარტულად იბეგრება დღგ-ით?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 172.1-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

„ი) მგზავრთა და ბარგის გადაზიდვის მომსახურებისა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ გაგზავნის ან დანიშნულების პუნქტი მდებარეობს საქართველოს ფარგლების გარეთ და ასეთ გადაზიდვაზე გაფორმებულია ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი. ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურებებია:

ი.ა) მგზავრის ან/და სატრანსპორტო საშუალების გაგზავნასთან/ მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;

ი.ბ) აერო- ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება, აგრეთვე სააერონავიგაციო მომსახურებაზე ზედამხედველობა;

ი.გ) ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისთვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

ი.დ) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთების რეალიზაციის მომსახურება;

ი.ე) აეროპორტებისა და ნავსადგურების საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრთა მომსახურება, რომლის ღირებულება შედის საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთის ფასში;

ი.ვ) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება“.

აქედან გამომდინარე მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და საერთაშორისო გადაყვანის ბილეთების რეალიზაციის მომსახურება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეძენილი სასტუმრო მომსახურების დაბეგვრას უკუდაბეგვრის დღგ-ით, სსკ-ის 1621-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება ითვლება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გაწეულად და შესაბამისად უკუდაბეგვრის დღგ-ით არ იბეგრება.

კითხვა:

ტუროპერატორი, რომელსაც საქართველოში უცხოეთიდან შემოყავს ტურისტები და ადგილზე უწევს მომსახურებას, მაგალითად სასტუმროში განთავსება, ტრანსპორტირება, კვება და ა.შ., გათავისუფლებულია თუ არა დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, ანუ ეს არის ნულოვანი დაბეგვრა თუ სხვა დაბეგვრის რეჟიმი აკიდევ კოდექსით?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 172.4-ე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

„პ) ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება“.

საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლით განსაზღვრულია შემდეგი ტერმინები:

„შ) ტუროპერატორი — პირი, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებას და ტურისტისთვის მიწოდებას;

ჩ) ტურისტი – ფიზიკური პირი, რომელსაც მიეწოდება ტურისტული პროდუქტი, საქართველოში არანაკლებ 24 საათის და არაუმეტეს ერთი წლის ვადით მოგზაურობის (მათ შორის, დასვენების ან/და გაჯანსაღების) მიზნით;

ც) ტურისტული პროდუქტი – ტურისტული მომსახურების სახეობათა (მათ შორის, ტრანსპორტირება, განთავსება, კვება, გიდის მომსახურება, აგრეთვე ტურისტული მომსახურების დამხმარე მომსახურება) არანაკლებ ორი კომპონენტის ერთობლიობა“.

აქედან გამომდინარე, თუ ტუროპერატორის მიერ ხდება უცხოელი ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანა და საქართველოში 2 და მეტი ტურისტული სერვისისგან შემდგარი პროდუქტის მიწოდება, ასეთი მომსახურება (2021 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით მოიხსენიებოდა, როგორც ტურისტული პაკეტი) გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით.

კითხვა:

შპს-ს სასარგებლოდ ჩავრიცხე ავანსი (პროდუქცია + მომსახურების ღირებულება). თუ შპს არ ასრულებს თავის ვალდებულებას, რა პროცესი არსებობს მომხმარებლის უფლებების დასაცავად, თანხის დასაბრუნებლად და კომპენსაციის მოსათხოვად?

პასუხი:

თქვენი უფლებების დასაცავად უნდა მიმართოთ სასამართლოს, რაც შეგიძლიათ განახორციელოთ როგორც პირადად, ისე ადვოკატის მეშვეობით.

კითხვა:

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ჩავვრიცხეს საქონლის თანხა ავანსად, ორივე შპს არის დღგ-ის გადამხდელი, დეკემბერში მიაქვთ საქონელი და უნდა გავუგზავნო ბედნადები, შემდეგ მივაბა ანგარიშფაქტურას, რომელიც დეკემბრის გამოვა. ჩარიცხული თანხა რომ ნოემბრის არის, რომელი თვის დღგ-ს დეკლარაციაში უნდა დავბეგრო?

პასუხი:

თუ წინასწარი ჩარიცხვის დროს უკვე ცნობილი იყო მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და ის, რომ ეს საქონელი ნამდვილად იბეგრება დღგ-ის 18%-იანი განაკვეთით, მაშინ მისი (ავანსის) დაბეგვრა უნდა მოხდეს ნოემბერში, ხოლო საქონლის მიწოდებისას დაიბეგრება მხოლოდ სხვაობის თანხა მისაწოდებელი საქონლის ღირებულებასა და ჩარიცხულ ავანსს შორის (თუ ჩარიცხული ავანსის თანხა ნაკლები იყო მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე).

ხოლო თუ აღნიშნული ინფორმაცია (საქონლის დასახელება, რაოდენობა, ღირებულება და 18%-ით დაბეგვრა-არდაბეგვრა) წინასწარ არ არის ცნობილი, მაშინ მთლიანი თანხა დაიბეგრება დეკემბერში, ანუ მაშინ, როდესაც მოხდება საქონლის მიწოდება.

კითხვა:

ერთი შპს მეორესგან ყიდულობს ტრაილერს (საერთაშორისო გადაზიდვებზე უნდა იმუშაოს), მაგრამ ყიდულობს რამდენიმე თვეში გადახდის პირობით. როცა დაასრულებს თანხის სრულად გადახდას, გადმოაფორმებს მაშინ. რა დოკუმენტები მჭირდება საგადასახადო მიზნით იმ პერიოდში, როცა შეძენის დოკუმენტები ჯერ არაა მაქვს, არ არის ჩემი საკუთრება და ასევე მასზე განეული ხარჯები იქნება თუ არა ჩემი ხარჯი?

პასუხი:

თუ ეს სატრანსპორტო საშუალება თქვენს კანონიერ მფლობელობაშია (თუნდაც არა საკუთრებაში) ხელშეკრულების და/ან მინდობილობის საფუძველზე, მაშინ მასზე განეული დანახარჯები თქვენს ხარჯებს წარმოადგენს (თუ ხელშეკრულებაში/მინდობილობაში საწინააღმდეგო არ არის მითითებული). რაც შეეხება საწვავის ან/და სხვა სახარჯი მასალების ჩამოწერას, ჩამოწერისას დაცული უნდა იყოს საწვავის ან/და სხვა მასალების ჩამოწერისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები (ჩამოწერის აქტები დადგენილი წესის შესაბამისად და სხვა).

ა) 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული დღგ-ის ახალი კარით გათვალისწინებული საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, დღგ-ით შესაძლოა დაიბეგროს საქონლის ფაქტობრივი გადაცემა, თუნდაც ასეთი გადაცემის მიხედვით არ გადადიოდეს საკუთრების უფლება, თუ სახელშეკრულებო პირობების მიხედვით გათვალისწინებულია საქონლის გამოსყიდვა (იხ. 160.1-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) :

„ბ) საქონლის ფაქტობრივი გადაცემა იჯარის, ლიზინგის ან მსგავსი ხელშეკრულებით, გამოსყიდვის პირობით;“

ამიტომაც თქვენზე გადმოსაცემი სატრანსპორტო საშუალების დღგ-ით დაბეგვრის ან არდაბეგვრის დასაბუთებლად აჯობებს, თუ მიმართავთ საგადასახადო კონსულტანტს.

კითხვა:

მოგესალმებით, მინდა გაცნობოთ, რომ საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, დასაბეგრი პირის განმარტება ბუნდოვანი ხდება მას შემდეგ, რაც ახალი მეწარმეთა შესახებ კანონი იქნა (2021 წლის აგვისტო) მიღებული, სადაც 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აღარ განსაზღვრავენ სამეწარმეო საქმიანობას. ანალოგიურად, შემოსავლების სამსახურის მეთოდურ მითითებებშიც არაფერი შეცვლილა დასაბეგრ პირთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის ბუნდოვანება ხელს უშლის მომსახურების განვითარების ადგილის განსაზღვრის საკითხს (და არა მარტო ამას). გთხოვთ მაცნობოთ თქვენი მოსაზრება მომსახურების განვითარების ადგილთან დაკავშირებით და ჩაითვლება თუ არა უცხო ქვეყანის მეწარმე პირისთვის მომსახურების განვა საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მხრიდან (ამერიკაში დაფუძნებული ფირმა უკვეთავს საქართველოს რეზიდენტ ფირმას საქონლის მოძიებას და გადაგზავნას) უცხო ქვეყანაში განეულად? საქართველოს რეზიდენტი მოქმედებს დამკვეთის სახელით.

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 158.2-ე მუხლის თანახმად,

„2. ამ კარის მიზნებისთვის ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება:

ა) „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით (და არა - 1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, როგორც თქვენ მიუთითებთ) გათვალისწინებული საქმიანობა“.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი: „2. საწარმო არის სამენარმო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა. სამენარმო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა“.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები: „1. სამენარმო საქმიანობად არ მიიჩნევა ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, საარბიტრაჟო, სამედიატორო, სანოტარო, აუდიტორული ან საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა, აგრეთვე ფიზიკური პირების ან იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამენარმო საქმიანობად არ მიიჩნევა ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია მენარმის სამართლებრივი ფორმის დაფუძნება“.

აქედან გამომდინარე, „მენარმეთა შესახებ“ ახალ კანონთან დაკავშირებით აღნიშნულ კონკრეტულ მუხლში ახალი ბუნდოვანება, ჩვენი აზრით, არ გაჩენილა.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს:

თქვენ მიუთითებთ, რომ არარეზიდენტი პირი არის ამერიკაში დაფუძნებული ფირმა. შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 158.1-ე მუხლით დადგენილ პირობას - „ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერ ადგილზე დამოუკიდებლად ახორციელებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამ საქმიანობის მიზნისა და შედეგისა“. აქ არ უნდა დაგვანბნოს ეკონომიკური საქმიანობის განმარტებამ ამავე მუხლის მე-2 ნაწილში. კერძოდ, იმან, რომ აქ არის მითითება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე და რომ ამერიკული ფირმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვერ იმოქმედებს. საქმე ის არის, რომ ეს დებულება გულისხმობს არა საქმიანობის საქართველოს კანონთან შესაბამისობას, არამედ საქმიანობის ზოგად მახასიათებლებს (მართლზომიერება, არაერთჯერადობა და ა.შ.). ამგვარ დასკვნას ამყარებს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მახასიათებლები - ნებისმიერი პირი..., ნებისმიერ ადგილას... დამოუკიდებლად... და ა.შ.

აქედან გამომდინარე, თუ მომსახურების დამკვეთი აშშ-ის რეზიდენტი კომპანიაა და ეწევა სამენარმო საქმიანობას, ის, სავარაუდოდ, უნდა განვიხილოთ დასაბეგრ პირად სსკ-ის 1621-ე მუხლის მიზნებისთვის.

რაც შეეხება იმას, თუ სად ითვლება თქვენი მომსახურება განუვლად და დაიბეგრება თუ არა ის დღგ-ით, სამწუხაროდ, თქვენი კითხვიდან გამომდინარე, ზუსტად ვერ დავადგინეთ ის, თუ რა მომსახურებას უწევთ ამერიკულ კომპანიას (რა საქონლის მოძიებაზეა საუბარი, სად ხდება საქონლის ეს მოძიება, ხდება თქვენ მიერ საქონლის საკუთრების უფლებით შეძენა თუ არა, რა პრინციპით განისაზღვრება თქვენი მომსახურების ღირებულება, ზუსტად რა იგულისხმება იმაში, რომ „საქართველოს რეზიდენტი მოქმედებს დამკვეთის სახელით“). მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხებს დააზუსტებთ და ამის შემდგომ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ სად ითვლება მომსახურება განუვლად - საქართველოში თუ საზღვარგარეთ. ასევე კარგი იქნება, თუ ყველაფერი გაირჩევა უშუალოდ იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც გაფორმებულია თქვენსა და აშშ-ის რეზიდენტ კომპანიას შორის.

ინფორმაცია გირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის დეკემბერში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიშური კრონა	ევრო	ფუნტი სტირლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური ზლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.12.22	1,4400	3,7869	2,8161	3,2618	1,9144	2,4003	2,7379	6,0330	5,7194	0,6912	2,5766	2,8604	1,1560	2,7177
02.12.22	1,4459	3,8025	2,8278	3,2911	1,8991	2,4101	2,7579	6,0221	5,7374	0,6886	2,5879	2,8696	1,1610	2,7112
03.12.22	1,4558	3,8276	2,8466	3,3163	1,9142	2,4273	2,7742	6,0826	5,7735	0,6943	2,6207	2,8962	1,1680	2,7056
04.12.22	1,4558	3,8276	2,8466	3,3163	1,9142	2,4273	2,7742	6,0826	5,7735	0,6943	2,6207	2,8962	1,1680	2,7056
05.12.22	1,4558	3,8276	2,8466	3,3163	1,9142	2,4273	2,7742	6,0826	5,7735	0,6943	2,6207	2,8962	1,1680	2,7056
06.12.22	1,4536	3,8229	2,8431	3,3048	1,9092	2,4231	2,7592	6,0550	5,7767	0,6916	2,6137	2,8835	1,1673	2,6987
07.12.22	1,4464	3,8032	2,8287	3,2779	1,8998	2,4115	2,7076	6,0201	5,7588	0,6822	2,5969	2,8596	1,1628	2,6943
08.12.22	1,4432	3,7963	2,8239	3,2740	1,8989	2,4082	2,6746	6,0114	5,7417	0,6907	2,5846	2,8571	1,1610	2,6902
09.12.22	1,4415	3,7907	2,8196	3,2653	1,8886	2,4043	2,6807	6,0169	5,7300	0,6796	2,5809	2,8507	1,1590	2,6848
10.12.22	1,4468	3,8050	2,8300	3,2811	1,8932	2,4130	2,6846	6,0434	5,7513	0,6810	2,5941	2,8724	1,1645	2,6802
11.12.22	1,4468	3,8050	2,8300	3,2811	1,8932	2,4130	2,6846	6,0434	5,7513	0,6810	2,5941	2,8724	1,1645	2,6802
12.12.22	1,4468	3,8050	2,8300	3,2811	1,8932	2,4130	2,6846	6,0434	5,7513	0,6810	2,5941	2,8724	1,1645	2,6802
13.12.22	1,4460	3,8028	2,8283	3,2899	1,8893	2,4108	2,6807	6,0262	5,7390	0,6771	2,5935	2,8714	1,1635	2,6773
14.12.22	1,4416	3,7889	2,8185	3,2879	1,8700	2,4024	2,6877	6,0101	5,7152	0,6864	2,5930	2,8563	1,1609	2,6766
15.12.22	1,4564	3,8294	2,8487	3,3115	1,8855	2,4275	2,7433	6,0842	5,7846	0,7002	2,6207	2,8848	1,1730	2,6736
16.12.22	1,4493	3,8107	2,8346	3,2923	1,8785	2,4155	2,7191	6,0455	5,7601	0,7017	2,6008	2,8709	1,1675	2,6691
17.12.22	1,4491	3,8102	2,8341	3,2452	1,8856	2,4150	2,7001	6,0462	5,7609	0,6957	2,5750	2,8669	1,1681	2,6674
18.12.22	1,4491	3,8102	2,8341	3,2452	1,8856	2,4150	2,7001	6,0462	5,7609	0,6957	2,5750	2,8669	1,1681	2,6674
19.12.22	1,4491	3,8102	2,8341	3,2452	1,8856	2,4150	2,7001	6,0462	5,7609	0,6957	2,5750	2,8669	1,1681	2,6674
20.12.22	1,4480	3,8076	2,8320	3,2571	1,8669	2,4135	2,7024	6,0506	5,7592	0,7014	2,5753	2,8647	1,1684	2,6682
21.12.22	1,4504	3,8137	2,8368	3,2443	1,8727	2,4171	2,7062	6,0571	5,7736	0,7039	2,5674	2,8789	1,1717	2,6667
22.12.22	1,4463	3,8028	2,8287	3,2314	1,8648	2,4103	2,7060	6,0636	5,7700	0,7029	2,5526	2,8751	1,1679	2,6646
23.12.22	1,4542	3,8243	2,8446	3,2313	1,8652	2,4252	2,7383	6,1128	5,8077	0,7065	2,5774	2,8927	1,1751	2,6740
24.12.22	1,4594	3,8388	2,8547	3,2445	1,8743	2,4330	2,7346	6,1581	5,8243	0,7129	2,5706	2,8900	1,1785	2,6883
25.12.22	1,4594	3,8388	2,8547	3,2445	1,8743	2,4330	2,7346	6,1581	5,8243	0,7129	2,5706	2,8900	1,1785	2,6883
26.12.22	1,4594	3,8388	2,8547	3,2445	1,8743	2,4330	2,7346	6,1581	5,8243	0,7129	2,5706	2,8900	1,1785	2,6883
27.12.22	1,4672	3,8611	2,8712	3,2628	1,8849	2,4481	2,7401	6,1818	5,8344	0,7164	2,5696	2,8988	1,1857	2,7028
28.12.22	1,4662	3,8725	2,8800	3,2576	1,8934	2,4549	2,7550	6,1830	5,8445	0,7158	2,5904	2,9120	1,1880	2,7009
29.12.22	1,4682	3,8714	2,8789	3,2634	1,8929	2,4538	2,7555	6,1369	5,8230	0,7145	2,5923	2,9145	1,1886	2,7055
30.12.22	1,4739	3,8771	2,8832	3,2621	1,8954	2,4567	2,7373	6,1459	5,8289	0,7162	2,5839	2,9282	1,1910	2,7103
31.12.22	1,4747	3,8786	2,8844	3,2581	1,9063	2,4586	2,7447	6,1538	5,8302	0,7203	2,5920	2,9322	1,1945	2,7020

თარიღი	კანადური დოლარი	ამერიკულ დოლარი	ევროპული გირონგა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგადადებული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.12.22	2,0064	1,8274	1,1047	0,1458	1,9550	7,3991	0,6471	7,9053	1,9873	8,8294	3,8365	3,4840	3,3375	1,6948
02.12.22	2,0182	1,8433	1,1019	0,1455	1,9865	7,3814	0,6455	7,9326	1,9954	8,8255	3,8256	3,4838	3,3381	1,7189
03.12.22	2,0129	1,8441	1,1016	0,1452	2,0176	7,3662	0,6442	7,9663	2,0041	8,8274	3,8517	3,4772	3,3272	1,7302
04.12.22	2,0129	1,8441	1,1016	0,1452	2,0176	7,3662	0,6442	7,9663	2,0041	8,8274	3,8517	3,4772	3,3272	1,7302
05.12.22	2,0129	1,8441	1,1016	0,1452	2,0176	7,3662	0,6442	7,9663	2,0041	8,8274	3,8517	3,4772	3,3272	1,7302
06.12.22	2,0098	1,8365	1,0986	0,1448	1,9939	7,3474	0,6425	7,9652	1,9987	8,7963	3,8786	3,4759	3,2992	1,7277
07.12.22	1,9775	1,8092	1,0954	0,1446	1,9708	7,3354	0,6415	7,9063	1,9850	8,7762	3,8502	3,4637	3,2612	1,7033
08.12.22	1,9644	1,7962	1,0915	0,1443	1,9564	7,3243	0,6405	7,8263	1,9800	8,7629	3,8544	3,4534	3,2616	1,7034
09.12.22	1,9662	1,8063	1,0923	0,1440	1,9610	7,3096	0,6392	7,7981	1,9780	8,7453	3,8506	3,4484	3,2570	1,7046
10.12.22	1,9664	1,8140	1,0895	0,1437	1,9697	7,2970	0,6381	7,8311	1,9834	8,7388	3,8545	3,4414	3,2575	1,7105
11.12.22	1,9664	1,8140	1,0895	0,1437	1,9697	7,2970	0,6381	7,8311	1,9834	8,7388	3,8545	3,4414	3,2575	1,7105
12.12.22	1,9664	1,8140	1,0895	0,1437	1,9697	7,2970	0,6381	7,8311	1,9834	8,7388	3,8545	3,4414	3,2575	1,7105
13.12.22	1,9597	1,8160	1,0853	0,1436	1,9585	7,2891	0,6375	7,7962	1,9803	8,7265	3,8389	3,4461	3,2437	1,7170
14.12.22	1,9652	1,8121	1,0849	0,1436	1,9451	7,2872	0,6373	7,7987	1,9754	8,7186	3,8343	3,4405	3,2324	1,7109
15.12.22	1,9723	1,8365	1,0818	0,1434	1,9834	7,2795	0,6366	7,8474	1,9859	8,7230	3,8491	3,4390	3,2424	1,7229
16.12.22	1,9665	1,8054	1,0797	0,1431	1,9525	7,2676	0,6355	7,7991	1,9692	8,7055	3,8295	3,4321	3,2250	1,6999
17.12.22	1,9499	1,7837	1,0803	0,1430	1,9450	7,2632	0,6351	7,7119	1,9646	8,6943	3,8243	3,4276	3,2188	1,6954
18.12.22	1,9499	1,7837	1,0803	0,1430	1,9450	7,2632	0,6351	7,7119	1,9646	8,6943	3,8243	3,4276	3,2188	1,6954
19.12.22	1,9499	1,7837	1,0803	0,1430	1,9450	7,2632	0,6351	7,7119	1,9646	8,6943	3,8243	3,4276	3,2188	1,6954
20.12.22	1,9560	1,7925	1,0793	0,1430	1,9602	7,2652	0,6353	7,7566	1,9676	8,7054	3,8263	3,4300	3,2263	1,7050
21.12.22	1,9588	1,7835	1,0785	0,1429	2,0129	7,2611	0,6349	7,7079	1,9740	8,7119	3,8272	3,4258	3,2224	1,6952
22.12.22	1,9570	1,7802	1,0766	0,1427	2,0212	7,2552	0,6344	7,6686	1,9713	8,6993	3,8205	3,4190	3,2174	1,6787
23.12.22	1,9649	1,8020	1,0828	0,1432	2,0251	7,2811	0,6367	7,7032	1,9818	8,7329	3,8311	3,4308	3,2309	1,6838
24.12.22	1,9770	1,8036	1,0886	0,1439	2,0272	7,3199	0,6401	7,7035	1,9915	8,7738	3,8478	3,4459	3,2441	1,6931
25.12.22	1,9770	1,8036	1,0886	0,1439	2,0272	7,3199	0,6401	7,7035	1,9915	8,7738	3,8478	3,4459	3,2441	1,6931
26.12.22	1,9770	1,8036	1,0886	0,1439	2,0272	7,3199	0,6401	7,7035	1,9915	8,7738	3,8478	3,4459	3,2441	1,6931
27.12.22	1,9882	1,8168	1,0928	0,1446	2,0297	7,3594	0,6435	7,7282	2,0037	8,8269	3,8831	3,4621	3,2701	1,6982
28.12.22	1,9959	1,8220	1,0919	0,1444	2,0257	7,3540	0,6431	7,7109	2,0077	8,8207	3,8794	3,4623	3,2598	1,7040
29.12.22	2,0027	1,8330	1,0925	0,1446	2,0225	7,3665	0,6442	7,6983	2,0081	8,8328	3,8790	3,4726	3,2649	1,7118
30.12.22	1,9939	1,8205	1,0943	0,1448	2,0258	7,3798	0,6453	7,6967	2,0096	8,8456	3,8929	3,4776	3,2730	1,7102
31.12.22	1,9959	1,8360	1,0916	0,1443	2,0495	7,3570	0,6433	7,6912	2,0155	8,8301	3,9063	3,4657	3,2658	1,7112

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	გელერუსული რუბლი	თურქმენული მანათი	ბოლდავური ლეი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდ	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.12.22	4,4526	1,6016	1,0788	7,7649	1,3946	6,8785	2,6756	0,2424	0,7361	0,5795	3,2201	1,6032	0,5144
02.12.22	4,4258	1,5977	1,0763	7,7463	1,3868	6,8595	2,6692	0,2420	0,7341	0,5796	3,2121	1,5592	0,5223
03.12.22	4,3642	1,5945	1,0740	7,7303	1,3811	6,8453	2,6703	0,2409	0,7326	0,5761	3,2054	1,5625	0,5211
04.12.22	4,3642	1,5945	1,0740	7,7303	1,3811	6,8453	2,6703	0,2409	0,7326	0,5761	3,2054	1,5625	0,5211
05.12.22	4,3642	1,5945	1,0740	7,7303	1,3811	6,8453	2,6703	0,2409	0,7326	0,5761	3,2054	1,5625	0,5211
06.12.22	4,3353	1,5905	1,0713	7,7106	1,3803	6,8304	2,6635	0,2396	0,7307	0,5738	3,2042	1,5666	0,5171
07.12.22	4,2626	1,5870	1,0695	7,6980	1,3817	6,8231	2,6526	0,2388	0,7296	0,5722	3,1920	1,5521	0,5099
08.12.22	4,2640	1,5855	1,0683	7,6863	1,3846	6,8136	2,6486	0,2386	0,7284	0,5682	3,1858	1,5534	0,5136
09.12.22	4,2796	1,5823	1,0662	7,6709	1,3836	6,8047	2,6432	0,2385	0,7270	0,5699	3,1620	1,5601	0,5147
10.12.22	4,2862	1,5796	1,0644	7,6577	1,3824	6,7936	2,6387	0,2380	0,7258	0,5701	3,1566	1,5534	0,5138
11.12.22	4,2862	1,5796	1,0644	7,6577	1,3824	6,7936	2,6387	0,2380	0,7258	0,5701	3,1566	1,5534	0,5138
12.12.22	4,2862	1,5796	1,0644	7,6577	1,3824	6,7936	2,6387	0,2380	0,7258	0,5701	3,1566	1,5534	0,5138
13.12.22	4,2707	1,5779	1,0632	7,6494	1,3846	6,7780	2,6359	0,2377	0,7249	0,5699	3,1693	1,5313	0,5103
14.12.22	4,2393	1,5774	1,0629	7,6474	1,3854	6,7796	2,6319	0,2374	0,7248	0,5700	3,1524	1,5167	0,5057
15.12.22	4,2163	1,5757	1,0618	7,6389	1,3835	6,7686	2,6290	0,2370	0,7239	0,5697	3,1650	1,5585	0,5040
16.12.22	4,1510	1,5730	1,0600	7,6260	1,3783	6,7615	2,6194	0,2371	0,7245	0,5710	3,1435	1,5432	0,5046
17.12.22	4,1225	1,5720	1,0593	7,6211	1,3764	6,7701	2,6133	0,2371	0,7222	0,5696	3,1415	1,5077	0,5020
18.12.22	4,1225	1,5720	1,0593	7,6211	1,3764	6,7701	2,6133	0,2371	0,7222	0,5696	3,1415	1,5077	0,5020
19.12.22	4,1225	1,5720	1,0593	7,6211	1,3764	6,7701	2,6133	0,2371	0,7222	0,5696	3,1415	1,5077	0,5020
20.12.22	4,0071	1,5725	1,0596	7,6234	1,3767	6,7750	2,6083	0,2368	0,7225	0,5705	3,1425	1,5468	0,5028
21.12.22	3,8635	1,5714	1,0590	7,6191	1,3792	6,7717	2,5968	0,2364	0,7238	0,5675	3,1481	1,5392	0,5033
22.12.22	3,7721	1,5704	1,0582	7,6131	1,3799	6,7681	2,6060	0,2362	0,7215	0,5681	3,1241	1,5381	0,5121
23.12.22	3,6933	1,5729	1,0619	7,6400	1,3866	6,7902	2,6115	0,2373	0,7240	0,5753	3,1470	1,5649	0,5141
24.12.22	3,9085	1,5843	1,0676	7,6809	1,3967	6,8222	2,6273	0,2388	0,7279	0,5819	3,1392	1,5739	0,5197
25.12.22	3,9085	1,5843	1,0676	7,6809	1,3967	6,8222	2,6273	0,2388	0,7279	0,5819	3,1392	1,5739	0,5197
26.12.22	3,9085	1,5843	1,0676	7,6809	1,3967	6,8222	2,6273	0,2388	0,7279	0,5819	3,1392	1,5739	0,5197
27.12.22	3,9030	1,5929	1,0733	7,7223	1,4058	6,8634	2,6402	0,2403	0,7318	0,5849	3,1561	1,5890	0,5237
28.12.22	3,8486	1,5918	1,0726	7,7169	1,4075	6,8572	2,6383	0,2405	0,7313	0,5861	3,1835	1,5774	0,5175
29.12.22	3,7862	1,5945	1,0744	7,7300	1,4127	6,8668	2,6428	0,2408	0,7326	0,5841	3,1598	1,5779	0,5111
30.12.22	3,7504	1,5973	1,0763	7,7437	1,4153	6,8767	2,6494	0,2412	0,7357	0,5876	3,1649	1,5920	0,5149
31.12.22	3,6770	1,5924	1,0730	7,7200	1,4099	6,8513	2,6420	0,2406	0,7352	0,5844	3,1552	1,5949	0,5119

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანეწყვეტილებების კომპრომენტირება.

